

№ 1.

୪୩ମୀଣ୍ଡା

1920 ମ.

କବିତା

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଶର୍ମିଷ୍ଠାନ ପ୍ରକାଶନାଳୋ



ଏହିବାଟା କାବ୍ୟରେ ଆମେ ଆମେ ଆମେ ଆମେ



ଟ ଢି ଲି ବେ

ସାମ୍ବରାଜୀ ସାମିନିଲାଲଙ୍କୁ ପ୍ରକାଶନ

1920

୨୫



მერს 1920 წლისთვის არავითოდება კურნალ

„**ԱՐԱՋԱ**“-83 Խաղողի ագո Ընրայքը լու

ორგანო ერობათ კავშირის კომიტეტის უფრო მიზნათ, ისახავს  
ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაკტიკულ საკითხების ყოველ  
მხრივ: გარკვევა-გაშუქებას.

კურნალში : მონაწილეობას იღებენ : ।

რედაქცია იმუოფება: რუსთველის პრ. № 24

ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა.

სამართლო ერობის  
60-ე სამართლო

60-ე სამართლო

5/5

1920

3628

აპრილი, 1920 | წელი.

ჩვენი უურნალი ერობათა კავშირის ორგანო. მაშასადამე, ის თვითმართველი ხალხის—დემოკრატიის იარაღია; და შეიქნება ის ახორი, მიაღწევს შიზანს, შეისრულებს თავის დანიშნულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება არა ამა თუ იმ ლიტერატორთა ჯგუფის ნაწარმოები, არამედ თვით საერობო მოღვაწეობისა და აზროვნების გამოშატველი და ამმოძრავებელი საშუალება. უურნალი უნდა იქნეს, და იმედი გვაქვს, იქნება კიდევ, თვით ერობათა ორგანიზების ნაწილი, მისი სისხლი და ხორცი, ორგანო არა დამამშვენებელი, არა სამკაული, არამედ მშრომელი ორგანო—მუშა იარაღი. ერობა უურნალის გულუბვი. და ქველი გამომცემელი კი არ იქნება, არამედ თვით ერობათა მოღვაწენი ჩაუდგამენ მას სულს და აუძრავენ გულს. მის ფურცლებზე მოიყრის თავს საერობო განცდა-გამოცდილების და ნიფიქრ-ნააზრების ჯამი. ის იქნება საერობო აზრისა და საქმის არა მარტო სარკე, არა მხოლოდ ანარეკლი, არამედ მამოძრავებელი იარაღი გზის მანათობელი საშვალება.

საქართველოში თვითმართველობათა ორგანობა მეტაც რთული და საპასუხისმგებელო საქმეა. ეს თითქმის მთელი ქვეყნის ბაირახტრობასა ნიშნავს, ვინაიდან ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა და მისი თვითმართველობა მთელ მსოფლიოში, ერთათ-ერთია, თავისებურია, აქ დემოკრატია უაღრესია—ჩვენი სახელმწიფო თვითმართველობათა უბრალო ჯამია, ჩვენი რესპუბლიკა ერთი ხალხური თვითმართველობაა.

ჩვენში სტუდენტთა თვითმართველობა უკვე ჰქარგავს თავის სპეციფიურს შინაარს; ჩვენს პირობებში ეს ტერმინი თითქოს ერთგვარ ანაქრონიზმად იქცევა. ეს ცნება წინათ დაიკრდაპირებული იყო მართველობის მიმართ, იმ მართველობის, რომელიც გარედან, ზევიდან, ცენტრიდან აფტოკრატულად განაგებდა ხალხის ბედსა და ცხოვრებას. მართველობა და თვითმართველობა ეს ძველებური დუალიზმი სხვა ქვეყნებიდან და სხვათა ისტორიიდან, პირველ ყოვლისა რესეთიდან, მოსესხებული რამ არის. ეს იყო ბრძოლა, ასე ვთქვათ, „ჩემშინისა“ და „ოპრიჩინის“, აღილობრივ თვითმოქმედების და ცენტრალურ დესპოტიის შორის. „ჩვენ“ და „თქვენ“—თვითმყრობელი მთავრობა და თვითმართველი ერობა—ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნება და მოსისხლი შტერი იყო. ან თვითმართველობას უნდა დაეცა თვითპყრობელობა, ან უკანასკნელს პირველი გაენადგურებინა.



ჩვენში კი სულ სხვა მდგომარეობა შეიქნა. საქართველოს აღორძინება არის შედევი სამპიროვანი რევოლუციის. პოლიტიკური, ნაციონალური და ნაწილობრივ სოციალურ რევოლუციის წიაღიდან იშვა ახლო საქართველო.

სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დემოკრატია, ერის თვითმართველობა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ერთათ წარმოიშვენ და პირველი უკანასკნელთა თითქმის უბრალო ჯამია, ხოლო პირველი უკანასკნელთათვის მხოლოდ დაგვირგვინება, გუმბათია.

აქ „ჩვენ-თქვენობა“ უადგილოა, და თუ მას კიდევ აქვს ჩვენში ადგილი, ეს სხვისი გახრწნილი ნეტია, ოომელის ჩვენ სახელმწიფოებრივ ჰაერსა სწამლავს და ამგვარად მკვდარი ცოცხალს იჭერს. რა დასაფარავია, რომ ასეთ შეხედულებას ჩვენში ჯერ კიდევ აქვს ადგილი. არა იშვიათად გაიგონებთ მართველთა წრეში ისეთ კილოზე ლაპარაკს, თითქოს ერობა რაღაც გარეშე დაწესებულება, უკეთეს შემთხვევაში კეთილ განწყობილი მეზობელი, და არა ამავე რესპუბლიკის, იმავე მთავრობის ორგანიული ნაწილი იყოს. არც ისაა იშვიათი, როდესაც საერობო მოღვაწის სიტყვა-პასუხი ისეთ შთაბეჭდილებას იხდენს, თითქოს ერობა მთავრობასა და სახელმწიფოს უპირდაპირდება. ასეთი შეხედულება წარსულის ლექია, ძველის ტალია და რამდენი იდრე აღმოიფხვრება ის ჩვენი ცხოვრებიდან, მით უკეთესი რესპუბლიკისათვის. ჩვენი თვითმართველობა არის არა მარტო ადგილობრივი მეურნეობისა და კულტურის ორგანო, არამედ ადგილობრივი მართველობა, სახელმწიფოებრივი დაწესებულება. ჩვენში უკვე მოხდა სინტეზი კომუნალურ მეურნეობისა და მართველობის. ერობა ადგილობრივად უკვე გამთავრობდა, ხოლო ცენტრალური მართველობა ჯერ კიდევ ვერ გაერობდა სავსებით. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი, ახლად აღორძინებული, რესპუბლიკა რევოლუციისა და ომის ცეცხლიდან იშვა და ბუნებრივია, რომ მისი ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია ჯერჯერობით დიდი ადგილი დაუთმოს წმინდა პოლიტიკურ, საერთაშორისო, სამხედრო და სხვა ასეთ სპეციფიურ სახელმწიფოებრივ მომენტს. რესპუბლიკის ინტერესები კი მოითხოვს და ჩვენი მტკიცე სურვილია, რაც შეიძლება მაღა დაღვეს ის დრო, როდესაც სახელმწიფოს ცენტრალი აპარატს საშვალება მიეცემა ნაკლები ყურადღება მიაქციოს ამ წმინდა პოლიტიკურ საკითხებს, და როდესაც სახელმწიფოს მოღვაწეობა თითქმის სავსებით ამოიწურება ეკონომიკურ და კულტურულ მოღვაწეობით. დემოკრატია უნდა მიისწრავოდეს იმ დღისაკენ, როდესაც საქართველო

ერთ სამეურნეო კომუნათ გახდება, როდესაც ჩვენი პატარა რესპუბლიკა ერთ დიდ ერობად გადაიქცევა.

ერობას არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ თუ ცენტრი შოიშალა, თვითონაც წახდება, ხოლო ცენტრალ ხელისუფალთ მუდამ ახსოვდეს — რა ერობა წახდეს, ერთც დაეცეს.

## ერობის მნიშვნელობა.

კაცობრიობის ისტორია ძალიან გრძელია.

მიუნედავად ამისა, ის შეიძლება დავტოოთ ორ სიტყვაში.

მონობიდან თავისუფლებისაკენ, — აი, ეს ორი სიტყვა.

მართლაც და მთელი ისტორია კაცობრიობისა არის ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ამ ბრძოლის გზაზე ხან გამარჯვება იყო, ხან დამარცხება, ხან ერთგვარი მონობის შეცვლა მეორე გვარით.

საერთოდ კი კაცობრიობა შეუჩერებლად მიღის წინ და მონობის აღსასრული მოახლოვებულია: ძალიან შორს აღარ არის ის დრო, როდესაც აღამიანთა შორის სრული თავისუფლება გამეოდება და აღამიანი აღამიანის მონა აღარ იქნება.

ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ მონები ვიყავით.

დღეს კი თავისუფალი მოქალაქენი ვართ.

მართალია, არიან ისეთებიც, რომლებსაც თეთრი პურით გაძლომა ყველა თავისუფლებას ურჩევნია, მაგრამ ამისთანა პირებს ჩვენს დროში აღამიანებად აღარ თვლიან.

ჩვენს დროში ქუდი იმას ჰქორავს და აღამიანიც იმას ეწოდება, ვინც იცის ყადრი და ფასი თავისუფლებისა და მისი გულისათვის ყოველისფერს აიტანს.

ვინ მოგვცა ეს თავისუფლება?

ხალხის ბრძოლამა და რევოლუციამ.

განა არ ვიცოდით, რაც არის რევოლუცია.

კარგათ გვესმოდა, რომ მას პირველ ხანებში მოპყებოდა ათას-გვარი გაჭირვება და უბედურება, მაგრამ შოთას ნათქვამია: ვარდი უეპლოთ არავის მოუკრეფიაო.

კატას ძალიან უყვარს თურმე თევზი, მაგრამ წყალში ფეხის და-ველება საშინლად სძულს.

აღამიანებშიაც ბევრია ამისთანა, მაგრამ მე იმათზე არა ვლაპარაკობ. სხვებმა კი იცოდენ, რა არის რევოლუცია. კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ ბევრნაირ გაჭირვებას, შევიწროებას გამოივლიდენ, ზოგი სიცოცხლესაც გამოესალმებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც შექხაროდენ რევოლუციას, იბრძოდენ და იბრძვიან.

ამ თავგანწირულ პირთა ბრძოლამ მოგვცა ჩვენ თავისუფლება, დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა?

ხალხის ხელისუფლებას.

ხალხია თავისი თავისა და ქვეყნის პატრონი.

მაშ მთავრობა რაღა არისო? იკითხავს ზოგი.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობა არის ხალხის ნების ამსრულებელი და სანამ ის ხალხის ნდობით არის აღჭურვილი, მას უნდა ემორჩილებოდეს ყველა.

უამისოდ რესპუბლიკა კი არ იქნება, დომხალი გამოვა.

რითი განსხვავდება ჩვენი რესპუბლიკა ნიკოლოზის წყობილებისაგან?

ყველაფერი რომ ჩამოვთვალოთ, ძალიან შორს წაგვიყვანს. მაგრამ მე უნდა აღვნიშნო მაინც ორი დიდი განსხვავება.

რუსეთში იყო ერთი მთავრობა და მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყველა.

ჩვენში კი თუმცა ერთი უფროსი მთავრობა — ნოვ ეკონდანის მთავრობა, — მაგრამ ამავე დროს არის მრავალი პატარა მთავრობაც — ეს გახლავთ თემის თვითმართველობა.

რუსეთი წარმოადგენდა ერთ დიდ სახელმწიფოს.

ჩვენი პატარა რესპუბლიკა კი შესდგება მრავალი პატარა-პატარა რესპუბლიკებისაგან.

ესენი არიან თემები.

ყოველი თემი პატარა სახელმწიფოა. ამა ჩაუკირდით, — თუ არა.

მასა ჰყავს საკუთარი პარლამენტი — ეს გახლავთ თემის ხმოსნების ყრილობა ანუ საბჭო.

მასა ჰყავს საკუთარი ხაზინა ანუ ბიუჯეტი, საკუთარი გზები, ფონტი, მილიცია, სასამართლო, ექიმები, სკოლები და სხვ.

ერთი მიშრძანეთ, განა ეს პატარა ოესპუბლიკა არ არის?

ხოლო თემს არ შეუძლია საკუთარი ფული მოსჭრას, საკუთარი ჯარი შეინახოს ან მით გამოუცხადოს ვისმე.

ამ მხრივ თემი ემორჩილება სამაზრო ერობას და მთავრობას.

აქედან ცხადია, რომ სათემო ერობის ხელშია თემის ყოველგვარი საქმე.—გზა, ფოსტა, განათლება, ჯანმრთელობა, წესიერება და სხვ.

თემის ერობასა ჴყავს საკუთარი შეიარაღებული ძალა, საკუთარი მილიცია, რომელიც მის განკარგულებაშია და მას ემორჩილება.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, თემის ერობა თავის რაიონში, თავის კუთხეში იგივე პატარა მთავრობაა,—უფროსი მთავრობის მარჯვენა ხელია.

აი, ამას ეწოდება მმართველობის დანაწილება—დეცენტრალიზაცია.

თვითმშევრობელობის ღროს იყო ცენტრალიზმი; ყოველ კუთხეს, ყოველ მაზრას განაგებდა ცენტრალი მთავრობა თავისი მოხელეების შემწეობით.

ხალხს არაფერი არ ეკითხებოდა; მხოლოდ მამასახლისის არჩევის უფლება ჰქონდა და ამ უფლებასაც ხშირად აუქმებდა მთავრობა: ის თვითონ ნიშნავდა მამასახლის.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი მთავრობის გვერდითა დგას ერობა. იმის მაგირად, რომ მთავრობა თვითონ განაგებდეს თავისი მოხელეების საშუალებით ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს, ის ერობას ეუბნება: მოუარე შენს კუთხეს, გასწიე იქ ჩემი მაგირობა, მე კი თვალყური შენსკენ მეჭირება და რაც კი რამ დაგჭირდეს, მოშმართეო. ყოველი თემი თვითონ უვლის თავის თავს, თვითონ უძლვება თავის საქმეებს, თვითონ აკმაყოფილებს ყოველგვარ ადგილობრივ საჭიროებას.

სოფლის ცხოვრების უკეთ მოწყობა ყოვლად წარმოუდგენელია.

სათემო ერობა მთავრობის პატარა ნაწილია.

მისი შემწეობით მთავრობა არა თუ დაკავშირებულია ხალხთან, ყოველ სოფელთან, ის დაახლოვებულია ყოველ კუთხესთან, მუდამ ხალხთან არის.

ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცეს თემი შეადგენს.

თუ თემებში საქმე კარგად მიდის, მთელი რესპუბლიკის საქმეც კარგად მიდის.

თუ თემებში კეთილდღეობაა, მთელ რესპუბლიკაშიც კეთილდღეობაა. თუ თემები კმაყოფილია, მთელი რესპუბლიკაც კმაყოფილია.

თუ თემები აყვავებული არიან, გზებით, ხიდებით, სკოლებით, საავალმყრფოებით, რესპუბლიკაც აყვავებულია.

ჩვენი მთავრობის სიმტკიცე კი თემის ერობაა.

თუ თემებში ერობებს საქმე კარგად მიჰყავთ, მთელი მთავრობის საქმეც კარგად მიდის.

თუ ხალხი თემებში კმაყოფილია თავისი ერობით, მისი გამგეობით, ის კმაყოფილია მთელი მთავრობითაც.

თუ თემში ერობა დაუდევარია, ზარმაცი, გულგრილი და ხალხი არა ჰყავს მიდლიერი, ხალხს თავისი უკმაყოფილება მთავრობაზე გადააქვს.

ამიტომ თემის ერობას ჩვენს რესპუბლიკაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცის და კეთილდღეობის ქვაკუთხედი თემია.

ჩვენი ხალხის მომავალი თემის ერობის ხელშია.

ცხადია, თუკი ასე დიდია სათემო ერობის მნიშვნელობა, მას უნდა ჰქონდეს შესაფერი უფლებაც.

რაც უნდა პატარა იყოს თემის რაიონი—თუნდა ერთი სოფელიც ეს რაიონი ერთგვარი სახელმწიფოა და იმის სათავეში მდგომი ერობა—მთავრობაა.

რა მთავრობაა ისეთი მთავრობა, რომელსაც არავითარი უფლება გააჩნია?

თემის გამგე, მართველი და პატრონი თემის ერობაა.

მაშასადამე, თავის თემში ის უნდა იყოს სრულუფლებიანი.

თემის ერობას აწევს სხვადასხვა მოვალეობანი—თემის კეთილდღეობა, გაჯანსაღება, მისი ქონებრივი და სულიერი კულტურის გაზრდა.

მას უნდა ჰქონდეს საშუალება და უფლება, რომ ასეთ მრავალგვარ მოვალეობას პირნათლად ვაუძლევს. თუ ის ყოველ ფეხის გადადგმაზე იძულებული იქნება მაზრის ერობას ან მთავრობას დაეკითხოს, იმის პასუხსა და განკარგულებას უცადოს, მისი მოქმედება მეტად შეფერხდება და მისი საქმიანობა ნაყოფიერებას დიდად დაპატიჟავს.

თემის ერობა პატრონია თავისი თემისა და მაზრის ერობა ან მთავრობა ვერ იმოქმედებს ამა თუ იმ თემში გარეშე ამ თემის ერობისა.

უფლებას თემის ერობა თვითონ ვერ შეიმუშავებს და ვერ მიანიჭებს საკუთარ თავს.

რატომ?

იმიტომ რომ ამ შემთხვევაში გამოვა ბაბილონის გოდოლი: ერთ თემში იქნება ერთი წესები, მეორეში მეორე, მესამეში კიდევ სხვანაირი და სხვ.

რესპუბლიკასა ჰყავს თავისი საკანონმდებლო დაწესებულება, - თავისი მთავრობა და უფლებრივ ნორმებს ესენი იმუშავებენ.

თემი არ არის დამოუკიდებელი ერთეული, ის ნაწილია რესპუბლიკისა და მასთან არის შეკავშირებული.

ამიტომ ამა თუ იმ თემის ყოველი ნაბიჯი და უფლება შეთანხმებული უნდა იყოს დანარჩენი თემების, მთელი მაზრის, მთელი რესპუბლიკის ინტერესებთან. მაგრამ რაკი თემის ერობის უფლებანი ერთხელვე იქნება ჩამოყალიბებული, ამ უფლებათა ფარგლებში თემის ერობა მოქმედებს დამოუკიდებლად.

საერთო მეთვალყურეობა, რასაკეირელია, ცკუთვნის მთავრობას.

ჯერ-ჯერობით თემების ერობას ბევრი რამ არ მოეთხოვება. ჩვენში ეს სულ ახალი საქმეა. შესაფერი ცოდნა და გამოცდილება წარსულიდან არ მიგვიღია და ჩვენმა სათემო ერობებმა უნდა შეიძინონ თავისი მეცადინეობით, შრომითა და დაკვირვებით ყოველისთვერი თავიდან.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ვცხოვრობთ მეტად მძიმე პირობებში, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როდესაც პირობებიც შეიცვლებიან და სათემო ერობების უფლებანიც ჩამოყალიბდებიან, მათ უნდა გააჩალონ კეთილშობილური შეჯიბრება და ააყვავონ ჩვენი ქვეყანა.

არათუ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ბედი მათ ხელშია.

სათემო ერობებს შეუძლიათ თავისი საქმიანობით კიდეც შეაყვარონ ხალხს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, კიდეც შეაძულონ.

ჩვენი ერი მცირერიცხვიანია, მაგრამ ის მტკიცეა.

შევაყვაროთ მას დამოუკიდებელი სამშობლო და გაშინ ის შესძლებს მის დაცვას, თუნდაც ურიცხვი მტერი დაეხვიოს.

#### ივ. გომართელი.

**რედაქტირისაგან.** ბ-ნი გომართელის წერილი ზოგადად ეხება ფრიად შენიშვნელოვან და ერობათა ცხოვრების მორიგ კითხვას — თემთა უფლება-მოვალეობის გარკვევას. ამ საკითხის შესახებ სხვა და სხვა აზრი ტრიალებს საერთო მოღვაწეთა შორის დამდგომარეობა მოითხოვს მის საჩქაროო და ყოველ შერიგ გარკვევა-გაშუქებას.

კონვენციალურ მოღვაწეთა გამოსთვევან ჩვენი ქურნალის საშუალებით თავის აზრი ამ საგანზე. ხოლო რედაქცია თავის დროზე გააცნობს მკითხველს საკუთარ შეხედულებას ამ საკითხის შესახებ.

## ხარჯთ-აღრიცხვა

ერობას დიდი საქმე აქვს დავალებული. ერობის თვითმართველობა სდგას მთელი აღგილობრივი ცხოვრების სათავეში. ერობის თვითმართველობის წევრები ხალხის ნდობით არიან აღჭურვილნი, და ხალხი კი ყოველთვის თავის ნდობას აძლევს საუკეთესო პირებს.

ერობის თვითმართველობა უნდა გაუძლვეს სოფლის მეურნეობას, ხელი შეუწყოს მეურნეობის აყვავებას, განვითარებას, შეიტანოს ხალხში მეურნეობის ცოდნა.

ერობამ უნდა იზრუნოს ხალხის სწავლა განათლებისათვის: მოაწყოს სკოლები, ჭიშრუნველპუოს სკოლები გამოცდილი მასწავლებლებით, საჭირო მოწყობილობით და ნივთებით.

ერობამ უნდა დაიცვას ხალხის ჯანმრთელობა: უნდა მოაწყოს საავადმყოფოები, მიაწოდოს წამლები, გაიჩინოს ექიმები, რომლებიც დროზედ მიეშველებიან დაავადმყოფებულს და დასნეულებულს.

ერობამ უნდა იზრუნოს არა მარტო ხალხის კარგად ყოფნისათვის, არამედ სოფლის მეურნეს საქონლის ჯანსაღობისათვისაც, უნდა ასწავლოს საქონლის მოვლა პატრონობა, საქონელი რომ დაავადმყოფდება, ან ჭირი გაუჩინდება, სწრაფი და საჩქარო დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მეურნეს.

ერობამ უნდა მოაწყოს გზები და ხიდები, რათა სოფლის მეურნეს საშუალება მიეცეს მიმოსვლის, საქონლის და ნაწარმოების გადაზიდვა გაღმოზიდვის.

ყაჩილობა და ქურდობა, ცარცვა და გლეჯა დიდი უბედურებაა ხალხის ცხოვრებაში. ხალხში იმდენად ხშირია ბოროტ-მოქმედება, რამდენადაც ბოროტმოქმედი პირები, რამდენადაც ხალხი მოკლებულია სწავლა-განათლების. ერობა ვალდებული არის ხალხის სიმდიდრე და ქონება, პიროვნება დაიცვას, ამისათვის საჭირო არის მილიციის მოწყობა.

ომიანობამ სრულიად გააღატაკა და დააღარიბა ხალხი, გაცდა სამეურნეო იარაღი; ხალხი შიშველი და ტიტველი არის, ბევრგან დამშეულიც არის. ხალხს დახმარება სჭირდება, ხალხს უნდა მიეწოდოს საშეურნეო იარაღი, სურსათი და სანოვაგვ., ერობის ვალდებულება არის - დახმარება და შემწეობა ხალხს.

ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენი ქვეყანა, ბუნგბისაგან უხვად არის დაჯილდოვებული. ჩვენა გვაქვს აუარებელი ტყე; ჩვენში შეიძლება ძლიერ ნაზი წარმოება აბრეშუმის, ჩაის. ჩვენში არის ბევრი სწრაფი მდინარე, ამ მდინარეების გამოყენება შეიძლება. მდინარეებზე აწყობენ ისეთ მანქანებს, რომლის შემწეობით შეიძლება ძლიერ იაფად ელექტრონის შეძლინა, ამ საქმეს მოწყობა სჭირდება. ჩვენში შეცხვარეობა არის. ცხვარი ძვირფას სიმდიდრეს იძლევა — მატყლს. მატყლს მოხმარება სჭირდება. ჩვენ სიმდიდრეს ბევრი შეცყურებს, უცხოეთიდან მოღიან. ვიდრე სხვას მივცემდეთ ჩვენს სიმდიდრეს, უმჯობესია ჩვენვე გამოვიყენოთ. მაშინ გამდიდრდება ჩვენი ქვეყანა, როდესაც ჩვენ ტყეს ჩვენვე დავამუშავებთ, ჩვენ პარკს და მატყლს, ჩვენ ტყეულობას ჩვენვე გადავამუშავებთ ჩვენი საჭიროებისათვის.

ერობა ხალხთან დაახლოვებული არის, იცის, სად რა სიმდიდრე მოიპოვება. ერობა უნდა შეუდგეს ადგილობრივ წარმოების გამართვას, ერობამ ხელი უნდა შეუწყოს იმ წარმოებს და ხელობას, რომელიც ადგილობრივ არის განვითარებული.

ბევრი ვალდებულება აქვს ერობას. ბევრი საქმეები აქვს ერობას მოსაწყობი, ყველას ვერც კი ჩამოვთვლით.

ის დიდი, ხალხისათვის საჭირო საქმეები, რომელიც ერობამ უნდა მოაწყოს, მოითხოვს ფულს; ამ დიდ საშვილი-შვილო საქმეებს სჭირდება დიდი თანხები. რადგან ერობა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს და დასახული აქვს ხალხის სიმდიდრე და ბელნიერება, რადგან ერობა ხალხის მეურნეობის და ივლადიდების და დოკლათის ხელმძღვანელი და მეთაური არის და ხალხის ნდობთ არის იღჭურვილი, ცხადია ერობას თვით ხალხმა უნდა მისცეს საღსარი.

ამისათვის არის შემოღებული გადასახადები. გადასახადი არის ის დაგროვებული და ხალხის მიერ გამოღებული თანხები, რომელიც შემდეგ სრულებით ხალხს უბრუნდება ხალხისთვისავე უსაჭიროესი საჭმების მოწყობით. ერობა მხოლოდ აგროვებს ხალხის ფულებს და ხალხსავე ახმარებს. აშეარია გადასახადები იმიტომ არის შემოღებული, რომ ხალხმა თავისი დოკლათით თითონვე მოუაროს თავის საქმეებს; ერობა მხოლოდ ხალხიდან ამოღებულ თანხებს ნაყოფიერად ხალხს უბრუნებს.

ერობას აქვს შემოსაფალი. ეს ის ფულები არის, რომელსაც ხალხი ერობას აძლევს; ერობას აქვს გასაფალიც: ეს არის ხალხიდან ამოღებული ფულების ხალხისთვის საჭირო საქმეებზედ მოხმარებით დაბ-

რუნება. თუ ერობას შემოსავალი არ ექნება, ვერც გასაფალი ექნება, ის ვერაფერნს მოაწყობს.

ერობა, რომელიც ხალხის მეურნეობის და ცხოვრების სათავეში სდგის, მაშინ შეასრულებს ხალხის წინაშე თავის ვალდებულებას, როდესაც იგი წინასწარ გაითვალისწინებს, რა უნდა გააკეთოს და რა ნაირად უნდა შეუდგეს საქმეს. ჩვენი ცხოვრება ისე არის დანგრეული, იმდენი საჭიროება არის დღეს, რომ უცბათ, ერთი წლის განმავლობაში ვერ მოვაწყობთ. ხალხის მეურნეობის მოგვარებას დიდი დრო სჭირდება, მუშაობა თან და თანაბით უნდა სწარმოებდეს. უპირველეს უოვლისა უნდა მოეწყოს უსაჭიროების საქმეები; და ვერც ხალხი გამოიღებს ერთბაში საჭირო ფულებს. საქმე თანდათანობით უნდა სწარმოებდეს

ვიღრე ერობა თავის საქმეების მოწყობას შეუდგებოდეს, მან წინასწარ უნდა იცოდეს, რა სჭირდება ხალხს, და წინასწარვე უნდა შეომუშავოს მოქმედების სრული გეგმა.

რა არის გეგმა? გეგმა არის გათვალისწინებული, დალაგებული წინასწარი მუშაობის და მოქმედების მიმართულება. ერობამ შემუშავებული გეგმის ასრულება უნდა შეუფარდოს ვადას, რომლის განმავლობაში მოქმედება უნდა დამთავრდეს. უნდა გაანაწილოს მუშაობა ერობამ უნდა იცოდეს წლის თავში, რა უნდა ასრულოს წლის განმავლობაში.

როდესაც წინდაწინ იქნება გათვალისწინებული სამუშაო და ვადა ამ სამუშაოს ასრულებისა, მაშინ შეიძლება გულდადებით და ჩაფიქრებით მუშაობა. ამ წელიწადში, ვთქვათ, ამ საქმეებს აწყობს, მეორე წელიწადში—მეორეს და ასე თანდათანობით. ერობამ უნდა გაიყვანოს, მაგალითად, გზები, შეაკეთოს ხიდები, მოაწყოს სკოლები. რა თქმა უნდა, ერთ თვეში და ერთ წელიწადში ყველაფერს ერობა ვერ მოაწყობს: არც დრო ეყოფა და სალსარიც არ ექნება მისიათვის. თუ ერობას აქვს დამუშავებული გეგმა, ის გაანაწილებს მუშაობას: ამ წელიწადში გააკეთებს ნაწილს, მეორე წელიწადში—მეორე ნაწილს და ასე ბოლომდე, ვიღრე საქმეს დამთავრებს.

ერობას, როგორც ზევით ვსთქვით, ბევრი საქმეები, ძლიერ რთული სამუშაო აქვს. მან უნდა იცოდეს, თუ რამდენი ხარჯი დასჭირდება სამუშაოს დასამთავრებლად. მაგალითად, ერობამ უნდა მოაწყოს საავადმყოფები. ერობამ უნდა დასტლოვებით გამოიანგარიშოს, რამდენი ფული დასჭირდება ამ საქმეს. ვსთქვათ, ერთი მილიონი დასჭირდება გამოანგარიშებით; ერობამ უნდა მოაწყოს ხიდები, გზები; გამოანგარიშე-

ბით ყაშოდის, რომ ამ საქმეს სამი მილიონი დასჭირდება. ერობა ეკითხება თავის თავს, შეუძლია ასეთი ხარჯების გაწევა თუ არა? თუ აქვს საკირო თანხები, საქმეს შეუდგება. თუ ანგარიში ღაანახვებს, რომ თანხები არ ეყოფა, მაშინ უნდა გააკეთოს ის, რის შეძლება მას აქვს, თორემ საქმის დაწყება ისე არ შეიძლება. დაწყებული საქმე უეჭველად დამთავრებული უნდა იქმნას.

მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა ერობას უნდა ჰქონდეს დაწვრილებით შემუშავებული გეგმა მუშაობის და მოქმედების. ამ გეგმაში ყველაფერი უნდა იქმნეს წინასწარ გათვალისწინებული. დამუშავებული გეგმა არაფერს ნიშნავს თავის თავად. გეგმის შემუშავების შემდეგ ქრობამ უნდა გამოიანგარიშოს, თუ რამდენი თანხა დასჭირდება საქმის შესასრულებლად. როდესაც ეს არის გამოიანგარიშებული, მაშინ მან უნდა შეუფარდოს გეგმის ასასრულებელად საჭირო თანხები თავის შეძლებას.

ერობა ისე მოქმედებს, როგორც კარგი მეოჯახე. მაგალითად, სოფლის მცხოვრებს უნდა სახლი იაშენოს. მან უნდა გაითვალისწინოს, უნდა იცოდეს, რა ნაირი სახლის აშენებას აპირებს. როდესაც ამას გამოარკვევს, უნდა გამოიანგარიშოს, შეუძლია მას სახლის აშენება თუ არა, ეყოფა ფული თუ არა? ამნაირათ მოქმედების გეგმა უნდა იქნეს შეფარდებული შესაძლებლობასთან. გეგმა მოქმედებისა და მისი შესრულების შესაძლებლობა ყოველთვის წლის თვეში უნდა იქნეს დამუშავებული და წლის განმავლობაში ერობა გეგმის მიხედვით უნდა მოქმედებდეს: ერობამ უნდა გაითვალისწინოს მთელი წლის შემოსავალი და გასავალი, ამის გათვალისწინება უეჭველად უნდა მოხდეს, თორემ მოქმედება უნაყოფო და უნიადაგო იქნება.

წინასწარ გათვალისწინებული და დამუშავებული შემოსავალ-გასავალი არის ხარჯთ-აღრიცხვა.

ერობა მაშინ შესასრულებს დასახულ მიზანს, როდესაც მან იცის, რა აქვს, რა აბადია და რა უნდა გააკეთოს. ხარჯთ-აღრიცხვა საქმეს უადვილებს ერობას, ერობას შეუძლია გაითვალისწინოს ყველაფერი, მოქმედიადოს.

თითეულ ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იყოს დაწვრილებით ნაჩვენები შემოსავალი, დაწვრილებით უნდა იქნეს ნაჩვენები გასავალი. შემოსავალი და გასავალი უნდა იქნეს შეფარდებული. თუ გასავალი ხარჯები მეტია, ვიდრე შემოსავალი, მაშინ იმდენი უნდა გაკეთდეს, რამდენიც შეიძლება.

შაშასაღამე, ყოველ ხარჯთ-აღრიცხვაში უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს ნაჩვენები შემოსავალი. მაგალითად, სოფლის მეურნეს უნდა იყიდოს ჭული ხარი; მან იცის, რამდენი ჭული აქვს და რამდენი ლირს ხარები. თუ ჭული არ ეყოფა, ხარებს არ იყიდის: — წელს იყიდის ერთს, გაისაღ მეორეს.

ასე უნდა მოიქცეს და ასე იქცევა ერობაც. გამოიაწვარიშებს შემოსავალს და მას შეუფარდებს გასავალს. ერობა არის დიდი მეურნეობა. მეურნეობას სჭირდება ხარჯთ-აღრიცხვა ანუ გათვალისწინებული გეგმა მოქმედებისა. გეგმის შესრულება შეიძლება, თუ არის საკმარისი შემოსავალი.

ვიღრე ერობა, ან თემთ თვეის მოქმედებას შეუდგებოდეს, უეპელად უნდა შეიმუშაოს ხარჯთ-აღრიცხვა და იმის მიხედვით უნდა იმოქმედოს. ხარჯთ-აღრიცხვა არის ხარჯი, სადაც ყველაფერი სჩანს. თვალდასუქული მუშაობა არ შეიძლება. ხარჯთ-აღრიცხვა კი უჩვენებს ერობას, თემს მთელი მუშაობის გზის და კვალი.

პროფესორი ს. აგალიანი.

## თემი აგრძინებაში

(ისტორიული მიმოხილვა).

უმთაფრესი და ყურადსალები საკითხი საერთოდ რესპუბლიკისათვის და კერძოდ ჩვენი ნორჩი ერობისათვის მცირე საერთო ერთგულობის — თემების და სარიცონო ერობათა სათანადოდ მოწყობაა და გაძლიოლა. სხვა ქვეყნების ერობათა ისტორია და პრაქტიკული მოღვაწეობა ჩვენს მკითხველს, ვიმედოვნებთ, მოქმედების ერთგვარ გეზს დაუსახავს და მრავალ საკითხში გზას გაუკვლევს. ჯერ-ჯერობით ჩვენს ყურადღებას შევაჩირებთ ამერიკის წერილ საერთო ერთგულებზე.

როგორია თემების ტიპები ამერიკაში და რა თვისებანი ახსიათებენ ამ თემებს?

რა რიგათ არის დაწყობილი თემთა ქსელი ამერიკაში? რანაირია მათი საქმიანობა?

და აი, სწორედ ამ საკითხების გაშუქება მიზანი ჩვენი წერილებისა.

მაგრამ, სანამ ამერიკელების თემთა დაწვრილებით აღწერვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ამერიკის თვითმართველობათა ზოგიერთ განსაკუთრებულ თვისებებზე შევაჩიროთ მკითხველის ყურადღება.

ამერიკის შეერთებული შტატების წვრობი საერობო ერთგულმა თემა—ფეხი მოიკიდა ამერიკაში ევროპიელების დასახლებისას.

ახალი ინგლისის (ამერიკის შტატის სახელი) თაუნის და ცენტრალი შტატების თაუნშიპის ისტორია ცხად ჰყოფს იმ უნიკლულო ფორმებს, რომელშიც ჩამოყალიბებულია აღვილობრივი საზოგადოება:— საერობო დაწესებულებანი. ამასთანავე აღსანაშნავია ის გარემოებაც, რომ საერობო დაწესებულებანი ამერიკაში ერთნაირად არ არიან მოწყობილი; მათი ორგანიზაცია აღვილობრივ პირობების მიხედვითა ხდება.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების აღვილობრივ თვითმართველობის თანამედროვე ორგანიზაციის ისტორია ჩვენთვის დიდი ინტერესს წარმოადგენს განსაკუთრებით ამ უმაღლეს—ჩვენი თემების განმტკიცების ხანაში.

ამერიკის თემებს მათი თვისებების მიხედვით სხვა და სხვა სახელები ეწოდება. თაუნი, თაუნშიპი, სამაზრო ერობა, თემი, გრაფიბი და სხვა.

ძირითადი თვისება ამერიკული სისტემისა ის არის, რომ იგი უაღრესად დემოკრატიულია, ხალხის ნებისყოფასთან მჭიდრო კავშირის განმახორციელებელი და სწორედ ამ მხრივ დიდ სარგებლობას მოგვიტანდა და დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვის, ჩვენი საერობო დაწესებულებათა ცხოვრებისათვის და პრაქტიკული მუშაობისათვის ამერიკელთა საერობო ერთეულების შესწავლას.

ამერიკელთა აღვილობრივ ცენტრებს შინაურ ცხოვრების მოწესრიგებაში დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული. ამ დამოუკიდებლობის მეოხებით მცხოვრები იძენენ გამოცდილებას პოლიტიკურსა და მეურნეობის საქმეებში, ურომლისოდაც შეუძლებელია სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა და გაძლოლა პარლამენტის დეპუტატობა, მაგალითად, (მთავრობის წევრობა) თემის მცხოვრებთა თვითმოქმედება, მათი მნურებლები მონაწილეობა სათემო საქმეებში—სკოლა ხალხის მომავალ პოლიტიკური ხელმძღვანელთათვის. თავის თავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ სკოლას, განხატულობით სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ხანაში. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო ცხოვრების განმტკიცება ძირიდან უნდა მომდინარეობდეს. და თუ იშვარი სახელმწიფო საძირკველი, როგორიცაა თემი, სათანადოდ მოწყობა და ჯერვანად და კანონიერად ასრულებს დაკისრებულ სახელმწიფო მოვალეობას, მაშინ თვით სახელმწიფოსათვის საჭირო აღარ იქნება იზრუნოს წესრიგის და მცხოვ-

რებთა კეთილდღეობის დაცვისათვის. მაშინ საქართველოსათვის დადგება ეკონომიურ განვითარების ხანაც. პატარა თავისი ტერიტორიით, მაგრამ მდიდარი და კულტურულად დაწინაურებული საქართველო, მაშინ აღა-რაფრით ჩიმოუვარდება, მაგალითად, ბელგიასაც.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ადგილობრივ თვით-მართველობათა წევრებს ყველა მცხოვრებნი ირჩევენ. ამერიკულად წერილ საერთო ერთეულების ორგანოს სახელი — „თაუნი“ და „თაუნშიპიაი“ ჰქვიან. თვით საერთო ერთეულნი კი სასოფლო ყრილობას წარმოადგენენ და ამერიკაში სახელი — „თაუნ-მიტინგები“ და „თაუნშიბი-მიტინგები“. ეჭოდება. ამ მიტინგებს ესწრებიან და საქმეების გარჩევა-გადაწყვეტაში მონაწილეობას ყველა მოქალაქენი, თემის ყველა წევრნი იღებენ. თემის წევრებად კი ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი ითვლებიან. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ამერიკაში ადგილობრივ თვითმართველობის თანამდებობის პირთ ყოველთვის თვითონ მცხოვრებნი ირჩევენ. ამ თანამდებობის პირთ არა-ვითარი დამტკიცება ესაჭიროება საიდანშე — ხალხის არჩევნების შემდეგ იგინი პირდაპირ შეუდებიან ხოლმე თავის თანამდებობის შესრულებას.

ერობის მოღვაწეთა თვითმოქმედება, ერობის საქმიანობა იქ სულ სხვა პირობებში მიმდინარეობს, ვიდრე, ვსთქვათ, ჩვენში. ამერიკის ერობა გან-თავისუფლებულია დამინისტრატიული ზეგავლენისაგან. მართალია, უკა-ნასკნელ დროს სახელმწიფო თითქოს სცდილობს თვალ ყური აღევნოს ერობის მოღვაწეობას, მაგრამ ეს მეთვალყურეობა, რამდენადაც შესა-ძლებელია მისი გამოკვლევა, სულ სხვა საფუძველზე დამყარებული.

ეს მეთვალყურეობა, ეს ზედამნედველობა ცალკ-ცალკე შტატების მთავრობის ხელში უნდა იყოს და არა ცენტრალ მთავრობის ან მისი აგნეტების ხელში. ამ ცალკე შტატების შთავრობა ჩვენ შეგვიძლია და-ვუპირისპიროთ მისი მოღვაწეობის და მოქმედების მიხედვით ჩვენს ერო-ბათა კავშირის ცენტრალ კომიტეტს.

როგორია აშერიკულთა წერილი საერთო ერთეულები, მათი სხვა-და-სხვა ტიპის ორგანიზაციას და მათ შოქმედების შემდეგ წერილში შე-ვეხებით.

ვლად. ტკაჩივი-ანობაძე.



ჩემი სათემო ეროვნული და სახალხო სკოლები.

შეელი რეფიმის დროს, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩვენ სახალხო სკოლას პატრიონობდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციისა და სკოლის სამზრუნველოს დახმარებებით სახალხო სკოლათა ინსპექტორ-დირექტორები. ავათ იყო თუ კარგათ, ერთნაირი სისტემა იყო სკოლის პატრიონობებსა და ამ სისტემას მტკიცედ ასრულებდნენ ვისაც ეს სექტე ჰქონდა მიბარებული....

დიდი რევოლუციის დაწყების დღიდან ჩემმა სახალხო სკოლამ პატრიონი, მომვლელი დაკარგა და ჯერაც ერთ უპოვია!.. ყოველ მხრივ განადგურებული და მიწასთან გასწორებული დაბალი სკოლა გადაეცა ერობას, მაგრამ ახალმა მაწყობილმა და ქონებრივად ხელ-მოკლე ერობამაც ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო სათანადო ყურადღება მიეჭია იმ საქმისათვის. უმეტეს შემთხვევაში სახალხო სკოლათა მეურნეობის მხრივ მეთვალყურეობა და პატრიონობა ჩაბარდა თემებს, მაგრამ ისინიც იმავე უსახსრობის გამო ვერ უწევენ სათანადო მხრუნველობას და ამიტომ ისინი კიდევ სოფლებს ავალებენ სკოლების მოვლა-პატრიონობას და ამის გამო შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როგორიც იყო ძველი რეფიმის დროს იმ განსხვავებით, რომ მაშინ მბრძანებელიც იყო და შემსრულებელიც, ხოლო ეხლა მბრძანებელი ბევრია, ხოლო შემსრულებელი მარტო სოფელი და ისიც არ ასრულებს, თუ ვერ ასრულებს, მისთვის და მისი მოხარედი თაობისათვის საჭირო განკარგულებათ....

მიუხედავათ ამ მწარე სინამდვილისა, მაინც ვინ უნდა იდეას თავს სოფლის სკოლის სათანადოთ მოწყობა? ჩემის აზრით — თემია და მხოლოდ თემმა... მან უნდა თავს იტვის სკოლაზე ზრუნვა ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით....

სკოლა თუ ხეირიან შენობაში არ იქნება მოთავსებული, თუ ზამთრობით გაუთბობელი დარჩა იგი და სხ. რიგიანი მასწავლებელი იქ არ დარჩება, და თუნდაც დარჩეს ვერაფერს გააკეთებს...

ეს უბრალო, მაგრამ ძვირფასი ჭეშმარიტება კარგათა აქვთ შეგნებული ჩვენ შეზობელ კოლონისტ-ნემცებს, რომელიც არა მარტო სკოლას აწყობენ სამაგალითოდ, არამედ თვით მასწავლებელსაც უზრუნველ ჰყოფენ საჭმელ-სასმელით, რათა შეძლება ჰქონდეს მას გულ დამშვიდებით ნაყოფიერად ემსახუროს თავის დიდ მოვალეობას — ახალ თაობის სწავლა-ძლიზრდას, მის გაადამიანებას.

მოსავალი ტფილისის მაზრაში 1919 წელს.

I. ხორბლეულობის მოსავალი.

ტფილისის მაზრის მოსავლის გამოსარკვევათ ესარგებლობთ ზაფხულის საანკეტო წიგნიკებით. ეს ცნობები, როგორც ამას ქვემოდ დავინახამთ, შედარებით სწორია და მაზრის მოსავლის მდგომარეობაზე ასეთუ ისე სწორ წარმოდგენის გვაძლევს.

1919 წლის მოსავალი მაზრაში სანუგეშო არ არის. ჩვეულებრივ წლებთან შედარებით მოსავალი გაცილებით ნაკლებია. 1919 წ. პურის საშუალო მოსავალი ერთ დესიატინაზე კორესპონდენტების ჩვენებით შემდეგი იყო:

	სარწყავ მიწაზე.	ურწყავ მიწაზე.
ანეული ხორბალი.	28,6	27,5
ახალთესლი . . .	36,7	32,6
ანეული ქერი.	42,1	38,4
ახალთესლი . . .	76,7	42,6
ფეტვი . . . .	26,5	24.

მოვიყვანოთ შესაღარებლად ციფრი ჩვეულებრივ წლების საშუალო მოსავლისა დესიერინაზე. ეს ციფრი გამოყვანილია 5 წლის მოსავლის რაოდენობიდან (1909—1913 წ. წ.);

	სარწყავ მიწაზე.	ურწყავ მიწაზე.
ანეული ხორბალი .	60,3	50,3
ახალთესლი „ . .	58,3	43,2
ანეული ქერი . . .	63,2	61,2

როგორც სჩანს, 1919 წ. მოსავალი ჩვეულებრივ წლებთან შედარებით თითქმის ორჯელ ნაკლებია.

მიმღინარე წლის საშუალო მოსავლის რაოდენობა დამყარებულია ჩვენების შემდეგ რიცხვებზე:

ჩვენების რიცხვი	ჩვენების რიცხვი
ანეული ხორბალი	ურწყავ მიწაზე 54
ახალთესლის ხორბალი	„ „ 18 „ „ 3
ანეული პური	„ „ 32 „ „ 5
ახალთესლის ქერი	„ „ 19 „ „ 3
ფეტვი	„ „ 4 „ „ 3

მოყვანილი ჩვენების რიცხვი, რომელიც ეხება განსაკუთრებით ურწყავ მიწაზე დათესილ ხორბლეულობის საშუალო მოსავალს, საკიარისათ შეიძლება ჩაითვალოს და გამოყვანილ დესეტინის საშუალო მოსავლის რიცხვით ვისარგებლოთ მთელი ნათესების მოსავლის გამოსარკვევად. რომ ეს ცნობები დესეტინის მოსავლის შესახებ სინამდვილესთან ახლოა, ამას ადასტურებს კორესპონდენციების ქვემოდ მოყვანილი ჩვენვები მოსავლის საერთო დახასიათების შესახებ.

4. აი ჩვენების რიცხვები მოსავლის საერთო დახასიათებისა:

5. ანეული ხორბალი აბსოლუტი რიცხვით, % წ/წ-ით

კარგი . . . . .	1	1,5
-----------------	---	-----

საშუალო . . . . .	27	39,9
-------------------	----	------

ცუდი . . . . .	68	58,6
----------------	----	------

ახალთესლი ხორბალი

კარგი . . . . .	4	10,8
-----------------	---	------

საშუალო . . . . .	21	56,8
-------------------	----	------

ცუდი . . . . .	12	32,4
----------------	----	------

ანეული ქერი

კარგი . . . . .	4	8,2
-----------------	---	-----

საშუალო . . . . .	31	63,2
-------------------	----	------

ცუდი . . . . .	14	28,6
----------------	----	------

ახალთესლი ქერი

კარგი . . . . .	10	25
-----------------	----	----

საშუალო . . . . .	25	63
-------------------	----	----

ცუდი . . . . .	5	12
----------------	---	----

6. რამდენად უნუგეშო ყოფილა მოსავლის მდგომარეობა, აქედან უფრო ნათლად სჩანს, ციფრები თითქმის საშუალო ან ცუდ მოსავალს გვიჩვენებენ. მაგალითად ანეული ხორბლის შესახებ საშუალო და ცუდის ჩვენება შეადგენს 98,5% ჩვენებათა საერთო რიცხვთან, ახალთესლი ხორბლის — 89%, ანეული ქერის — 91,8% ახალთესლი ქერის — 74%. მარაში ითესება უმთავრესად ანეული და ახალთესლი ხორბლეულობა. როგორც უკანასკნელი ციფრები გვაჩვენებენ უველაზე უფრო ესენი დაზიანებულან. ეს ნიშნავს თითქმის მთელი მოსავლის ზარალს. ეს დასკნა მოსავლის ზარალის შესახებ მტკიცდება კორესპონდენციების შემდეგი ჩვენებით:

დაზიარალდა	ნახევარზე	მეტი.	ნანევარი.	მესამედი.	მეოთხედი.
ჩვენებათა აბს. რ-ით	14	32	13	6	
% ჩვენებათა საერთო					

რიცხვთან 21 49 20 10

ჩვენების 707 აღნიშნავს შოსავლის ნახევრის და ნახევარზე მეტის ზარალს. ასეთია ჩვენებები მოსავლის შესახებ.

ამის შემდეგ თავის თავად იბადება საკითხი, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული მოსავლის ასეთი დაზიანება.

უწინარეს ყოვლისა კორესპონდენტების ჩვენებით მთავარი მიზეზი შოსავლის დაზიანებისა იყო ციფრი და ნოტით ზეფხული ხშირი წვიმებით. ამინდის შესახებ გვაქს შემდეგი ცნობები:

	კარგი	საშუალო	ცუდი
ჩვენებათა აბსოლიუტ. რიცხვით	4	27	39
%-ით ჩვენ. საერთო რიცხვთან	60%	38%	55%

ჩვენების საერთო რიცხვის 93% აღნიშნავს საშუალო და ცუდ ამინდს. თუმცა საშუალო ამინდის შესახებ ჩვენებები შეადგენენ 38%, მაგრამ ყნდა ითქვას, რომ აქ ადგილი აქვს შემდეგ გარემოებას: ზოგიერთი საანკეტო ბლანკები იწერებოდა იმ დროს, როდესაც შოსავალი ჯერ არ იყო სრულიად დაწყიოფებული, რაც შეუძლებლათ ხდიდა მოსავლის ნამდვილ მდგომარეობის გაგებას, და ამიტომ ცუდი ამინდის ჩვენებითი რიცხვი შედარებით ნაკლებია მოყვანილი;

დაზიანებას ხელს უწყობდა ხშირი წვიმების გარდა სხვა მიზეზებიც: ქარი, სეტყვა და სხვა, მაგრამ სხვას, სეტყვის გარდა, რომელმაც ზოგიერთ უძინული მოსავალს დიდი ზარალი მიაყენა, არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც ხშირ წვიმებს.

ჩვენების საერთო რიცხვი ამინდის	შესახებ	უდრის	135.
ქარი	წვიმა	სეტყვა	გვალვა.
ჩვენებათა აბსოლიუტ. რიცხვით	57	38	23

%-ით. ჩვენ. საერ. რიცხვთან 42% 28% 17% 12%.

მოსავალს ზარალი მიაყენა ზოგიერთ ადგილს აგათმყოფობამ და მავნე მწერებმა თუმცა მათი გავლენა ამინდის მოვლენასთან შედარებით უმნიშვნელოა.

მოგვყენეს მათ შესახებ ცნობები:

კალია	თაგვი	ჭიალუა	შრეკა	სოკო	ობი	ღვარჯული.
9	13	1	5	11	11	

ცნობებს, ავათმყოფობისაგან და მავნე მწერისაგან მოსავლის ზარალის შესახებ, ჩვენ ვერ ვენდობით და ამიტომ არც მოგვყავს, ვინაიდან ამ ცნობებში კორესპონდენტებს შეურევიათ ზარალი სხვა პირობებისაგანც.

ყველა ზემოაღნიშნული მასალები ამტკიცებენ, რომ კორესპონდენტების ჩვენების ჩვენებიდან გამოყვანილი მოსავლის საშუალო რაოდენობის ციფრები სინამდვილესთან არ არიან დაშორებულნი, ამიტომ მოსავლის აბსოლიტური რაოდენობის გამოსარკვევად ჩვენ შეგვიძლიან ვისარგებლოდ ამ საშუალო მოსავლის რიცხვებით.

ამნაირად მთელი 1919 წ. მოსავლის გამოსარკვევად მაზრაში ჩვენ გვაქს შემდეგი მასალები: დათესილ მიწის რაოდენობა 1917 წ. იღწერით. ამავ საგანზე ცნობები მიმღინარე ზაფხულის საანკეტო ბლანკებიდან დათესილ მიწის რაოდენობის შესახებ, ცალკე სოფლებზე და თავში მოყვანილი ერთ დესეტინის საშუალო მოსავლის რაოდენობის რიცხვები.

დათესილ მიწის რაოდენობა 1917 წ. უდრიდა (დესეტინობით):

ანეული ხორბალი — 11.504, ახალთესლი ხორბალი — 741, ანეული ქერი 1658, ახალთესლი ქერი — 778. 1919 წელს დათესილ მიწების რაოდენობის გამოსარკვევათ ზაფხულის საანკეტო წიგნაკში იყო დასმული კითხვა, რომელიც ეხებოდა მიწის რაოდენობას ცალკე სოფლებში.

ცნობები იყო მიღებული ამ კითხვის შესახებ სხვა და სხვა ოქმების 56 სოფლებიდან. ამ ცნობებიდან ზოგიერთი სინამდვილესთან, ცხადია, შეუსაბამო ციფრები კრიტიკულ შეფასების შემდეგ, გამოტოვებულ იყვნენ. დანარჩენ 42 სოფელში იყო დათესილი:

1917 წელს. — 6158 დესეტინა.

1919 „ — 10747 „

დათესილი მიწის რაოდენობას 1919 წელში შედარებით 1917 წ. რაოდენობასთან მოემატა დაახლოვებით 80 პროც.

გამოანგარიშებული აღნიშნული პროცენტის (შე0 პროც.) ნათესების მომატების მიღებით, 1919 წ. დათესილ მიწების რაოდენობა შეადგენს:

ანეული ხორბალი — 20723 დეს., ახალთესლი ხორბალი — 1340, ანეული ქერი — 2959, ახალთესლი ქერი — 1395.

საინტერესო შევადაროთ 1919 წ. და 1917 დათესილ მიწის რაოდენობანი მთელ სახით მიწის რაოდენობას მაზრაში 1917 წელში (გამორკვეულია 1917 წ. აღწერით).

რაოდენობა სახნავ მიწებისა 1917 წ. უდრიდა 43085,7<sup>8</sup> დესეტინას:

დათესილი იყო 1917 წ. 14681 დეს. ან 34,7 პროც.

„ „ 1919 „ 26417 „ „ 61,3 პროც.

ამ რიგათ დათესილ მიწის რაოდენობა 1917 წ. შეაღენდა დაახლვეჭით გთხოვთ სახნავი გიჩვების მესამედს 1919 წ. კი უახლოვდება  $\frac{2}{3}$  კ. ი. იმ დათესილ ნაწილის ნორმას, რომელიც საქიროა სამ მინდვრიან ხვნა-თესვის სისტემის საწარმოებლად. 1919 წ. დათესილ მიწის რაოდენობამ 1917 წელთან შედარებით, მოიძარა როგორც ზემოთ იყო აღნიშ-ნული 80 პროც. ამას თავის მიზეზი აქვს. 1917 წ. ომის გამო იყო მუშა ხელის დიდი ნაკლებულობა და ხვნა-თესვამ შესამჩნევად იკლო. ომის შეწყვეტისას ბევრი მუშა ხელი დაუბრუნდა თავის ოთახს და ხვნა-თესვამ მიაღწია იმ დათესილ მიწის რაოდენობის ნორმას, რომე-ლიც იყო ომის დაწყებამდე. შემდეგ, დათესილ მიწის რაოდენობის მომატება, გაგრძელდა. პურის ფასების ზღაპრულად მომატების გამო და არ არის საკვირველი რომ ამ რაოდენობამ 1919 წ. ზემომოყვანილ რიცხვამდე მიაღწია. როდესაც ჩვენ გვაქს ერთის მხრით დესეტინის საშუალო მოსავალი და მეორე მხრით და-თესილ მიწის რაოდენობა, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დაახლო-ვებით მთელი მოსავლის რაოდენობა ტფილისის მაჩრაში. ამას მივაღწევთ თუ ერთ დესეტინის საშუალო მოსავლის რაოდენობის რიცხვს, გავამრავლებთ დათესილ მიწის რაოდენობის რიცხვზე. ამ გზით გამოყვანილ მოსავლის რაოდენობა შეაღენს:

ანეული ხორბალი—554507,<sup>8</sup> ფუთი. ახალთესლი ხორბალი—44166,<sup>2</sup> ფ. ანეული ქერი 116430,<sup>2</sup> ფ. ახალთესლი ქერი—63212,<sup>1</sup> ფ.

ჩვეულებრივი წლების მიხედვით მოსავლის რაოდენობა უნდა ყოფი-ლიყო: ანეული ხორბალი 1034398,<sup>9</sup> ფუთი, ახალთესლი ხორბალი—60032,<sup>2</sup> ფუთი, ქერი—268551,<sup>3</sup> ფუთი. ამ რიცხვიდან სიანს, რომ მოსავლის დანაკლისი 1919 წ. გამოიხატება შემდეგში:

ხორბალი—495757,<sup>1</sup> ფუთი, ქერი—88909,<sup>10</sup> ფუთი.

დანარჩენი ნათესების შესახებ, რომელიც უნდა ვსთქვათ, შეაღე-ნენ შედარებით მცირე ნაწილს, არა გვაქს ცნობები, არც საშუალო მო-სავლის და არც დათესილ მიწის რაოდენობის ცალ-ცალკე კულტურის, და ამიტომ მათი რაოდენობა ვერ მოგყვავს.

ახლა გამოვიანგარიშოთ დაახლოვებით, რამდენათ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივ წლების მოსავალი მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

1917 წ. საბიუჯეტო ბლანკების თანახმად სოფლის მცხოვრებთან ჭირნახულის მოხმარების ნორმას შეაღენდა ერთ სულზე (ფუთობით):

ხორბალი—18,<sup>5</sup>; ქერი—2,<sup>6</sup>; სიმინდი—1,<sup>8</sup>; ბრინჯი—0,<sup>2</sup>; დანარ-ჩენი პურები—1<sup>10</sup>; ყველა პურები—24,<sup>1</sup>.

მცხოვრებთა რიცხვი 1917 წელს ტფილისის მაზრაში უდრიდა 89165. ამ ციფრების მიხედვით მცხოვრებთა საერთო მოთხოვნილება იქნება (სათესლეს გარეშე):

ხორბალი—1649552,<sup>5</sup>; ქერი—231829; სიმინდი—160497; ბრინჯი—17833—დანარჩენი პურები 89165, ყველა პურები—2148876,<sup>5</sup>.

1909—1912 წ. ცნობების მიხედვით ერთ დესეტინაზე საშუალოდ სჭირდებოდათ სათესლე (ფუთობით):

ანეული ხორბალი:	ახალთესლი ხორბალი:	ანეული ქერი:
სარწ. მიწ. 10, <sup>2</sup>	10, <sup>1</sup>	10, <sup>6</sup>
ურწყავი 10, <sup>5</sup>	10, <sup>4</sup>	9, <sup>8</sup>

საშუალოდ ყველა მოყვანილ მინდვრებისათვის შეგვიძლია მივიღოთ დაახლოვებით 10 ფუთი, ამ ნორმის მიღებით სათესლეს მოთხოვნილება მაზრაში მიწების რაოდენობის მიხედვით იქნება: ზემოაღნიშნულ 1917 წ. დათესილ მიწის რაოდენობის რიცხვებს, რომ გავამრავლებთ 10 ჯერ:

ანეული ხორბალი—115040; ახალთესლის ხორბალი—7410, ანეული ქერი—16580; ახალთესლის ქერი—7780.

ეს რიცხვები რომ მიუმატოთ გამოანგარიშებულ მცხოვრებთა მოთხოვნილების რიცხვებს, საერთოთ მცხოვრებთა მოთხოვნილება იქნება:

ხორბალი—1772002,<sup>5</sup> ფუთი; ქერი—256189 ფუთი;

დანარჩენ ხორბლეულობის სანოვაგრეზე სათესლეს საჭიროების ცნობები არ არის და ამიტომ მათი მოთხოვნილების რაოდენობა ვერ მოგვყავს.

მაშასადამე, ჩვეულებრივ წლების მოსავალა ვერ დააკმაყოფილებდა მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაშინაც კი 1919 წლის დათესილ მიწის რაოდენობა რომ მივიღოთ, და დანაკლისი იქნებოდა:

ხორბალი—677570,<sup>4</sup> ფ.; ქერი—12362,<sup>3</sup> ფუთი.

1919 წლის ხორბლეულობის დანაკლისი საერთო მოთხოვნილების მიმართ უმოსავლიანობის გამო მეტად დიდია და გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ხორბალი—1173328,<sup>5</sup> ფუთი; ქერი—79546,<sup>7</sup> ფუთი.

სეითია წელს მოსაფლის მდგომარეობა და სოფლის მცხოვრებთა ხორბლეულობის საჭიროება თბილისის მაზრაში.

პ. ბენაშვილი.

## განაღგურებულ ქართლში

(საკუთარი კორესპონდენციისაგან).

მეტად დიდი უბედურება დაატყდა ქართლს თავზე.

ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც თებერვლის 19 და 20-ს მოხდა, მიწასთან გაასწორა ქალაქი გორი და მის ახლო-მახლო მდებარე 75-მდე სოფელი.

სტიქიონში იმსხვერპლა 200-მდე აღამიანი და მთლიად გაანადგურა სახლები, ისტორიული ციხე-კოშკები, ეკლესიები და ხალხის მთელი ქონება.

სახლების უმრავლესობა სულ დანგრეულია ისე, რომ ახლოს მიკარებაც არ შეიძლება.

გორში ყველაფერი მოსპობილია და განაღგურებულია გარდა ხიდისა, რომელიც აშენებულია სულ რამდენიმე წლის წინად. თვით გორის უცველესი და ძლიერი ციხეც შერყეულა მიწისძვრისაგან და კვდლები ჩამონგრევია. დამახინჯებულის სახით გასცემის ივი მტკვრის გაღმა გორიჯვერის მთას, საიდანაც სტიქიონს მონასტერი მოუგლებია და უფსკრულში ჩაუნთქავს!

გორში და ახლო დღებარე სოფლებში აღამიანთა მსხვერპლი ისე დიდი არ არის, როგორიც მოსალოდნელია ასეთ საშინელ მიწისძვრის გამო. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ პირველ მიწისძვრის დროს სახლები დაზიანდენ და მათში მხოლოდ მცირე ნაწილი დაინგრა.

მეორე მიწისძვრა მოხდა 20 თებერვალს დღისით—გორი განადგურდა: ამ დროს ხალხი საბედნიეროდ, გარედ იყო და ღამის მიწისძვრით შეშინებული სახლებს არ ეკარებოდა. ამ გარემოებამ დაიხსნა ხალხი სიკვდილისაგან და უსახლკაროდ დატოვებულთ, სიცოცხლე მაინც შეუნარჩუნა.

სოფელთა შორის უფრო მეტად დაზიანებული და განაღგურებულია: ხიდისთავი, ოხერა, ტინიხიდი, ბერბუკი, სვენეთი, უფლისციხე და სხვა,

აღამიანთა მსხვერპლი ყველაზე დიდი ხიდისთავშია. აქ სტიქიონში იმსხვერპლა 30 კაცი, ოხერაში—16, უფლისციხეში 15 ტინის-ხიდში 9, დოესში 6, ზემო ხანდაკში 5, სკრაში 5 და სხვა—სულ 111 დახოცლია. იმის გარდა მრავალი დაჭრილ-დასახიჩერებულია. თვით ქალ-გორში მოკლულია 7, მამაკაცი, 4 ქალი და 7 ბავშვი.

მრავალ სოფლებში ქვა ქვაზედაც არ არის დარჩენილი. გაწყვეტილია დიდიძალი სხვილუება საქონელი,

ზოგიერთ სოფლებში სახლებს მომეტებულ ნაშალად შერჩენიათ გარეგანი სახე, მაგრამ შიგ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

სტიქონმა გაანადგურა სოფლები: ბერბუკი, სვენეთი, ტინიხილი, გორიჯვარი, ჭარელი, ზემო და ქვემო ხვედურეთი, რუისი, სკრა, ურბნისი, ბებნისი, ხოვლე, დოესი, გრაკალი, ყარალაჯი, სასირეთი, მეტეხი, კარალეთი, თორთიშა, პატარა და დიდი გარეჯვარი, ხელოუბანი, რეხა. თედოშმინდა, არაშენდა, ვარიანი, ოთარშენი, ხიდისთავი, ატენი, ოხერა, უფლისციხე, ქვახვერელი და სხვა.

ყველა ამ სოფლის მკვიდრნი საშინელს მდგომარეობაში ჩაცვიდნენ ბევრი ტფილისა და დაბა-სოფლებში გაიხიზნა ნათესავებთან, ზოგნი მაინც ადგილობრივ დარჩენენ — ცივს და სუსხიან აშინდში ისევ თავის კარმილამოს დასტრიალებდენ.

ამ დიდმა უბედურებამ, რასაკვირველია, დიდი და თავგანწირული შრომა მოითხოვა ყველა შეგნებულ მოქალაქისაგან.

მთავრობამ სწრაფად შეადგინა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარეობით და სწრაფადვე გაფზავნა გორში ექიმები, სანიტრები, პური, შაქარი, ტანსაცმელი, წამლები, კარავები და სხვა საგნები, რომელიც პირველ ხანად ესაჭიროებოდა გორს და მის მაზრას.

უბედურების მსხვერპლთ გამოეხმაურა წითელი ჯვარიც, რომელმაც გორელებს პირველი დახმარება მიაშველა, სახალხო გვარდია, განსაკუთრებით მესანგრენი და ყველამ თავისი წვლილი შეიტანა უბედურ მოქმედა დახმარების საქმეში.

ტფილისიდან დახმარების აღმოჩენამდე, თავგანწირული მუშაობა დასჭირდათ გორის თვითმართველობებს, განსაკუთრებით ერობას.

მართალია, ერობის ბინა მთლად დაინგრა, მაგრამ ერობის გამგეობის წევრებმა ძალა შოიკრიფეს, ხალხს არ მოშორდნენ და თუ უცებ შეუძლებელი იყო დიდი და არსებითი დახმარება, ის მაინც მოახერხეს, რომ შეშინებულ და დამფრთხალ ხალხს შორალური დახმარება მიაწოდეს და ფხიზელ დარიაჯათ გაუხვდნენ ხალხის იმ ქონებას, რომლის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა. ამას გარდა მოაწყეს სწრაფი საექიმო დახმარება და სეთივე დახმარებით ხელი გაუწოდეს თავზარდაცემულ სოფლებს, რომელიც უპატრონოდ დარჩენენ.

ამ უამაღ ყველა სოფელს ეძლევა საჭირო დახმარება და ყველგან დროებით ბინები აშენებულია. მიღებულია ზომები წისქვილების აღსაღ-გენად და ნანგრევთა შორის მოყოლილ ქონების ამოსაღებად.

მთავრობის მთავარ რწმუნებულად გორში არის გამოცდილი ეჭიმი მ. რ. ზანდუქელი, რომელიც სათავეში უდეას გორელთა დახმარების საქმესაც. იგი ამ დახმარებას ინხორციელებს: გორში—ქალაქის თვით-მართველობის საშუალებით, ხოლო მაზრაში—გორის სამაზრო ერობის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ თემებს იშველიებს.

გორისა და განადგურებულ სოფლების აღდგენა საბოროლოდ გადა-წყვეტილია. მართალია, ამ საქმის განხორციელება დიდი ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ეს ადვილი განდება, თუ საზოგადოება თავის დახმარებას არ დაიშურებს დალუპულ მოძმეთათვის.

რ. ბ.



## მროვალი სეოვანები.

თამათა ნარმაზადგენლების თათბირი.

— თებერვლის ათში ერობათა კავშირის კომიტეტებმა მოიწვია თემთა წარმომადგენლების თათბირი, რომლის მიზანი იყო ერობის მო-მავალი დებულების ძირითადი პრინციპების გამორკვევა. თათბირს დაე-სწრენ შემდეგი თემების წარმომადგენლები: 1) თელავის, თემების ინ-სტრუქტორი (თელავის მაზრა) 2) ბაკურციხის თემი (სიღნაღის მაზრა) 3) კარდენახის თემი (სიღნაღის მაზრა) 4) გარეუბნის თემი (თბილისის მაზრა) 5) აღმოსავალის თემი (თბილისის მაზრა) 6) ზესტაფონის თემი (ზორაპნის მაზრა) 7) გომის თემის (ქუთაისის მაზრა) 8) ვანის თემი (ქუთაისის მაზრა) 9) ნაესაკოვის თემი (სენაკის მაზრა),

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ თემები დაასებულან ყოფილ საზოგადოებების ფარგლებში, ამ უამათ კი ზოგ ალაგს ემჩნევა ტენდენ-ტია თემის გაყოფისა და ამ რიგად არსდება რიგი ახალი თემებისა. უმე-ტეს შემთხვევაში თემის გამგეობა შედგება სამი პირისაგან. თემის არ-სებობის წყაროს პირველ ხანით შეადგენდა სამაზრო ერობის დახმარე-ბა, მაგრამ რასაკვირველია ეს ვერ უზრუნველყოფდა გამგეობის არსე-

ბობას და ოოცა თემი იძულებული იყო გადასახადები გაეწერა, ამ გარემოებამ ძალიან დაუკარგა პრესტიუუ წახლად დაარსებულ თემებს, ვინაიდან ხალხში ჯერ ვერ არის განმტკიცებული სახელმწიფოებრივი შეფნება, ყოველი გაწერილი გადასახადი უქმაყოფილებას იწვევს და გადასახადის დანიშნულებასაც სულ სხვა რამეს აწერენ. ისიც აღსანიშნავია, რომ თემებს არ ქონდათ მიცემული ინსტრუქცია, თუ რა სფეროში შეეძლო მათ გადასახადების გაწერა და ხშირად ხდებოდა ისე, რომ ერთსა და იგივე დარგში ხალხი იბეგრებოდა, როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე სამაზრო და თემის ერობის მიერ; მაგ. სააქციზო გაოასახადი. ხშირად თემი ისეთ გადასახადებასაც აწარმოებდა, რაც მის კომპენტენციაში არ უნდა შედიოდეს; ყველაფერი ეს ვამოწვეული იყო იმ მდგომარეობიდან, რომ არ არის განსაზღვრული თემისა და სამაზრო ერობის მოქმედების ფარგლები. უმეტეს ნაწილს თემებისას არ აქვთ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა. დაახლოვებითი ხარჯთ-აღრიცხვას ამ-ტკიცებს თემის ყრილობა, რის შემდეგ ეგზავნება სამაზრო ერობას ზოგ შემთხვევაში ცნობათ, ზოგს შემთხვევაში დასამტკიცებლათ. ამ კითხვაში თემების წარმომადგენლების უმეტესობის აზრით თემს უნდა ეკუთვნოდეს უფლება ხარჯთ-აღრიცხვისა. გადასახადების გარდა არსებობის მნიშვნელოვან წყაროს თემისას შეადგენს სურსათის წარმოები-დან შემოსული თანხები, რამაც ზოგიერთი ერობა ფრიად გაიტაცა.

პირველ რიგში, რისთვისაც თემებს ყურადღება მიუქცევიათ, ეს ყოფილი სკოლის საკითხი. ამ მხრივ თემის ვალდებულებას შეადგენს იზრუნოს სკოლის შენობის შესახებ; მასწავლებლის ჯამაგირს იხდის სამაზრო ერობა, იგივე ნიშნავს მას. ზოგი თემი მოითხოვს, რათა მას-წავლებლის მოწვევის და დათხოვნის. საკითხი მათ კომპენტენციას შეად-გენდეს, საზოგადოთ სკოლის საქმეში თემებმა დიდი წვლილი შეიტანეს.

ადმინისტრატიულ დარგის მოქმედებაში თემები იმ აზრს ადგანან, რომ მილიციის უფროსი მათ განკარგულებაში იყვეს და საზოგადოთ ადგილობრივ ადმინისტრაციას აწყობდეს თემი და კანტროლიც მილი-ციისა იყვეს მის ხელში.

გზების საკითხის შესახებ თემები გამოურკვეველ მდგომარეობაში იშკონფიდიან, ვინაიდან მათთვის ბუნდოვანია, რომელი გზა რომელ უწყების განკარგულებაშია. როცა კი თემს სჭირდებოდა გზის გაკეთება-შიაყვანა, ამას ის ახერხებდა ბეგარის სახით და არც ყოფილა ამ მხრივ არაფერი დაბრკოლება და მცხოვრებნი კმაყოფილებით ასრულებდენ ამ ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ თემებს ხშირად უხდებოდათ სასამართლოს ფუნქციებში ჩარევა; მცხოვრებნი იმიტომ მიმართავდენ ამ საშუალებას, რომ ეს მათთვის უფრო სწრაფი და იოლი საშუალება იყო და თემებიც უარს ვერ ეუბნეოდენ, ზოგ შემთხვევაში, თუმცა ამ გარემოებას ძალიან უფრთხოდენ.

ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული თემის მოღვაწეობაში წარმოების განვითარებას და საზოგადოებრივ - კულტურულ მუშაობას, ამისათვის თემებს არც მოცალება ჰქონდათ და არც სხვა პირობები უწყობდა ხელს.

თემის ფარგლებში შედის საშუალო რიცხვით 3—4 სოფელი 1200-1300 მცხოვრებით და მისი რადიუსი არის ათი ვერსი. არიან თემები, რომელნიც ერთი სოფლისაგან შედგებიან.

საზოგადოთ ყველა თემის წარმომადგენელი აღნიშნავდა თემის უფლებების გაფართოების საჭიროებას და თემისა და სამაზრო ერობის უფლებრივი ფარგლების შემუშავების აუცილებლობას.

აღსანიშნავია რომ ზოგიერთ თემის წარმომადგენლები უარყოფდენ ორსაფეხურიანი ერობის არსებობას და მოთხოვდენ, რათა სამაზრო ერობის შევიერ დაარსებულ იქნას თემთა კავშირი.

აქვე მოგვყავს თაბირის მიერ მიღებული დადგენილებანი სათემო დებულების ძირითადი პრინციპების შესახებ:

1. ადგილობრივი მართველობა ორ საფეხურიანია: მაზრის და სა-თემო. შენ. იქ, სადაც თემი რამოდენიმე სოფლებიდგან შესდგება უნდა იქნეს გამომუშავებული უფლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ წესიერ მართვა გამგეობას.

2. თემის ტერიტორია უნდა შეფარდებულ იქნას, ყოფილ სოფლის ფარგლებთან. სოფლების გადაჯგუფება და თემების გაყოფა შესაძლებელია, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

3. თემის მართველობა აღჭურვილია განმკარგულებული ხელისუფლებით.

4. განმკარგულებელი ხელისუფლება ეკუთვნის თემის საბჭოს, აგებულს წარმომადგენლობითი პრინციპზე, საყოველთაო და პირდაპირის საარჩევნო წესით.

5. თემის მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის გამგეობას. გამგეობა კოლეგიალური დაწესებულებაა და მუდმივად მომქმედი. გამგეობაში ერთი არის თემისთვი, მეორე მისი მოადგილე დანარჩენი გამგეობის წევრები. ეს პუნქტი კომიტეტის პროექტში

ასეთი იყო: (თემის მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის თემის თავს. როდესაც თემი ერთი სოფლიდგან შესდგება და ეს სოფელი დიდია ან თემი რამოდენიმე სოფლიდგან შესდგება თემის საბჭო ნიშნავს თემი თავის მოადგილებს. საყურადღებო და მნაშენელოვანი კითხვების გადაჭრის დროს თემის თავი იწვევს სათათბიროზ თავის მოადგილებს).

6. მაზრის ერობა არის ადგილობრივი მართველობის მეორე საფეხური, აგებული წარმომადგენლობის პრინციპებზე პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო წესით.

7. თემის მოქმედებას კანტროლს კანონიერების მხრით უწევს საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება. თემის საბჭოს საყურადღებო დადგენილებანი (დიდ სესხებზე, კონცესიებზე, თემის ქონების დიდ იჯარებზე და სხ.), რომელიც სათანადო დებულებაში იქნება აღნუსხული საჭიროებენ მთავრობის დასტურს, რომელიც უნდა მოხდეს მაზრის ერობის წინასწარი დასკვნის შემდეგ.

8. სამაზრო ერობას აქვს თავის დამოუკიდებელი ბიუჯეტი, სამაზრო მართველობის გადასახადების საგნებზე თემი აწესებს განსაზღვრულს პროცენტს თავის სასარგებლობდ. თემს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საბიუჯეტო უფლებანი.

აქვე მოგვყავს ოზურგეთის მაზრის თემთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ, 17 თებერვალს 1920 წ. მიღებული დადგენილება ამავე საგანზე:

1. ბიუჯეტზე. რაღვენაც თემი არის რესპუბლიკის ძირითადი თვითმართველი ერთეული და რაღვენაც ამ ძირითად ერთეულის რესპუბლიკის ნამდვილ საძირკვლაო გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა მისი უფლება-მოსილების განმახორციელებელი ფინანსური საშუალებანი, ხოლო ეს კი შესაძლებელია თვით დაბეგვრის საშუალებით, თემთა წარმომადგენლების ყრილობა ადგენს: მიეცეს თემს თვით-დაბეგვრის უფლება იმ პირობით, რომ მისგან შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვას წინასწარ იხილავდეს და ამტკიცებდეს სამაზრო ერობა, როგორც კანონიერების, ისე მიზან შეწონილობის მხრივ.

2. ერობის საფეხურები. ჩვენს ერობას უნდა ჰქონდეს ორი საფეხური: თემი და სამაზრო ერობა. რამოდენიმე სოფლიდან შემდგარი

თემის გამგეობა, საჭიროების მიხედვით გაიჩენს სოფელში თავის რწმუნებულს თავის განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებალთ.

3. თემის ორგანიზაცია. თემი შესდგება ორი ორგანოსაგან: თემის საბჭო-განკარგულებელი ფუნქციებით და მისი აღმასრულებელით ორგანო თემის გამგეობა.—საბჭოს და თემის გამგეობას ყველა თავმჯდომარები.

— 4. ნაცურალური ბეგარა. რადგანაც ყოვლად შეუძლებელია, რომ თემმა ფულზე აკეთოს გზები და ხიდები, აშროს ჭაობები, ამაგროს წყლის ნაპირები და სხვა, ამიტომ თემთა ყრილობა ერთად-ერთ მიზან-შეწონილ ზომათ აღიარებს ამ დარგებში ნატურალური ბეგარის შემოღებას, სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებით,—მაზრის ფარგლებში და თემის საბჭოს დადგენილებით,—თემის ფარგლებში.

გზის მიმართულების დამტკიცება შედის სამაზრო ერობის გამგეობის კომპენტენციაში.

სხვა და სხვა კულტურულ მიზნის შენობისათვის ხის მასალები სასურველია უფასოდ დაეთმოს თემებს სახელმწიფო ტყიდან, რაც ხელს შეუწყობს მოკლე დროში ყველა თემებში აგებას სახალხო სახლისა, აბანოებისა, და სხ. საჭირო საზოგადო დაწესებულებისა.

— 5. მილიციის მოწყობა. თემს უნდა ყავდეს არა ნაკლები საში მილიციონერისა ერთი მილიციის უფროოსით.

## ერგაოთა კავშირის პრიზოცმა.

— თებერვლის ბოლო რიცხვებში მოხდა ქალაქთა კავშირის და ერობათა კავშირის კოშიტეტების შეერთებული სხდომა. სხდომამ იქონია მსჯელობა საერთო ორგანოს „ერობა და ქალაქის“ გამოცემის შესახებ. მსჯელობირდან გამოირცე, რომ საერთო ორგანოს „ერობა და ქალაქის“ გამოცემის გაგძელება სასურველია. ამავე დროს ქალაქთა კავშირი მზათაა მიიღოს მონაწილეობა იმ პოპულიარულ ორგანოს გამოცემაში, რომელიც ერობათა კავშირის მიერაა განზრახული, თანახმად ერობათა წარმომადგენელების თათბირზე მიღებული დადგენილებისა. სხდომამ ამ კითხვის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: საერთო ორგანოს „ერობა და ქალაქის“ გამოცემა გაგძელდეს კიდევ ერთი ნომრით იმავე პირობით და სათაურით. ამავე დროს გამოიცეს ერობათა კავშირის მიერ განზრახული პოპულიარული ორგანო ამის გამო. შედგეს შეერთებული კომისია,

რომელმაც გამოიმუშაოს საერთო პირობანი ამ ორგანოს გამოცემის შესახებ.

ამ სარედაქციო კომისიას, რომელშიც შედიოდენ ერობათა კავშირის თავმჯდომარე პ. ჭიჭინაძე და კომიტეტის წევრი ი. სტურუა ერთის მხრივ და ქალაქთა კავშირის კომიტეტის წევრები დ. კალანდარიშვილი და ა. ჯავახაშვილი მეორე მხრივ, მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. სარედაქციო კომისიას სასურველად მიაჩნია დაარსდეს განსაკუთრებული ორკვირეული პოპულიარული უურნალი ერობათა მოთხოვნილებების დასამაყოფილებლად თანახმად ერობათა წარმომადგენელების თათბირის დადგენილებისა.

2) ასასთანავე სასურველად არის მიჩნეული საერთო ორგანოს გამოცემა „ერობისა და ქალაქის“ სახელწოდებით გაგძელდეს, ხოლო საჭიროდაა იღიარებული უურნალის გაუმჯობესება შინაარსიერს მხრივ და მეტი დაახლოება უურნალის მასალისა რესპუბლიკის ერობათა და ქალაქთა პრაქტიკულსა და თეორეტიულ მოთხოვნილებებთან.

3) მეტი მთლიანობის დასამყარებლად ორივე უურნალის გამოცემის, როგორც ტეხნიკურის ისე იდეურის მხრით,—კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რათა „ერობისა და ქალაქის“ გამოცემისათვის დარჩეს მიღებული ორგანიზაცია რედაქციისა, ხოლო ერობათა პოპულიარული უურნალისთვის კავშირის მიერ მოწვეულ სარედაქციო კოლლეგიაში, მოწვეულ იქნას ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი.

4) უურნალის გამოცემისთვის საჭირო ხარჯში მონაწილეობას იღებენ ერობათა და ქალაქთა კავშირები, ხოლო რაოდენობა იმ ხარჯისა, რომელიც თვითეულ ორგანიზაციას დაეკისრება ხარჯის დასაფარავად, გამორჩეულ იქნას უურნალისთვის შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის შემდეგ.

— ერობათა კავშირის კომიტეტის წევრთა შორის განყოფილებათა განაწილება მოხდა შემდეგი სახით: თავმჯდომარე პ. ჭიჭინაძე:—საერთო ხელმძღვანელობა და სამედიკო სასანიტარო განყოფილება. თავმჯდომარის მოადგილე მ. ახალიაძე—| საერთო განყოფილება, —კანცელარია, მთავარი ბუხალტერია, საექსეკუტორო ნაწილი, საიურისკონსულტო ნაწილი, ერობათა შუამდგომლობანი, საგამომცემლო და საინფორმაციო ნაწილი, საერთო საცხოვრებელი. კომ. წევრი გ. სოფორიაშვილი.—| სტატისტიკური განყოფილება: საერობო სტატისტიკა, წარმომადგენლობა სტატისტიკურ კომიტეტში, ინსტრუკტორობა სამაზრო სტატისტიკაში. საინსტრუქტორო ნაწილი. კულტურულ-განაწილებელი ნაწილი; საერობო

კანონმდებლობა. კომიტეტის წევრი ი. სტურავა.—III სამრეწველო განყოფილება. საპნის ქარხანა, სახელოსნოები, თივის დამზადება, სათესი მინლევრები, ტეხნიკური სექცია, საფინანსო და ორგაცხვის განყოფილება ბანკის ორგანიზაცია, საღიკვიდაციო ნაწილი. კომ. წევრი მ. ცეკვაშვილი.—IV სავაჭრო განყოფილება—საქონლის შეძენა შინ და გარეთ, მისი განაწილება. პერიფერიული ორგანიზაციები. (ჩრმუნებული ბათომში, ქუთაისში, ბაქოში, სოხუმში და სხ.) საწყობები წამლეულობის და სასანიტარო ქონების შეძენა და მათი საწყობები.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა შეაძლეომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა სამინისტროების მიერ, რომელიმე კონცესიის გადაცემის ღრუს, წინდაწინვე შეეკითხონ ხოლმე ერობათა კავშირის კომიტეტს ან სათანადო ერობას, ხომ არ ისურვებენ უკანასკნელნი კონცესიის აღებას მიღებულ პირობებში.

— ერობათა კავშირმა შეუძლებომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მის განკარგულებაში გადავიდეს ერთ-ერთი მთავრობის სტამბა, რაც მის კულტურული მუშაობისთვის ფრიად საჭიროა.

— ქრობათა კავშირმა გადაწყვიტა შეიყიდოს ოზურგეთის მაზრაში და ჩაქვეში ლერწამი და მოაწყოს თვეის სახელოსნოებთან ლერწამის ავეჯეულობის დამუშავება.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა მიიღო შემდევი მოწერილობა შიწათმოქმედების სამინისტროსგან: შიწათმოქმედების სამინისტრომ სხვადა- სხვა ერობებს სათესლე მასალის შესაძენად მისუა საჭირო თანხა. როგორც ირკვევა ერობები ამ ფულს სხვა საჭიროებებზე ხარჯავენ. გატყობინებთ რა ამას, გთხოვთ მოახდინოთ შესაფერი განკარგულება, რომ სათესლე მასა- ლის შესაძენად მიცემული ფული ერობებმა სხვა საჭიროებისათვის არ დახარჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასამართლოში იქნე- ბიან მიცემული.

— კომიტეტებში შეიძინა მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული პირი ათი ცალი ბიუსტი ნ. ერებუნისა. ბიუსტის მიღება ერობათ გამგეობებს შეუძლიათ კომიტეტიდან.

— კომიტეტმა მიიღო ახობადე — ტკაჩევის და კონიაშვილის მიერ შედგენილი და დასაბეჭდათ გამზადებული სახელმძღვანელო, დიაგრა-  
მები და მათი მნიშვნელობა საერთო სკოლებისთვის. კომიტეტებმა  
მოიწონა სახელმძღვანელო და დააფიქნა გამოსკეს იგი.

-- გორისა და ახლო-მაცხოვ მდებარე მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ კომიტეტმა გადასცო ქუთაისის საწყობებიდან

საქონელი, რომლის ღირებულება აღწევს სამ მილაონს, საქონელი უკვე გაეგზავნა გორის სამაზრო ერობას.

— ერობათა კავშირის მიერ 21 მარტს მოწვეულ იქნა სხდომა საშედრო უწყების, ქალაქთა კავშირის და ქალ. ტფილისის წარმომადგენლებისა, სადაც განხილულ იქნა საკითხი, სამკურნალოთა თვითშეართველობებისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც დამფუძნებელ კრების მიერ იქნა მიღებული. შეჯელობილან გამოირკვა, რომ თვითმართველობათ უნდა გადაეცეს სამხედრო უწყებილან, თანახმად დამფუძნებელ კრების დადგენილებისა, როგორც საავათმყოფოთა ინვენტარი, ისე სათანადო კრედიტებიც. აღიარებულ იქნა, რომ ქალაქ ფოთში საავათმყოფო, განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესათ ქალაქის მცხოვრებთათვის იქნება და ქალაქის ხელში უნდა იყოს.

თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, სოხუმში, ახალციხეში, ახალქალაქში და არდაგანში კი, როგორც ქალაქის, ისე ერობის ხელში, ვინაიდან ამ ქალაქებს თან ართავს სოფლები, სადაც საავათმყოფოები არ არიან. დანარჩენ აღვილებში კი ერობათა ხელში. ხოლო სურამის შესახებ სასურველია სამხედრო უწყებამ მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და არ მიატოვოს ის, რადგან სურამს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კურორტს და მაღიარის წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო ადგილია. სურამში საავათმყოფო უაღრესად ქალაქის და სამხედრო უწყების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ იქნება, მაგრამ გორის აღდგენამდე მას მაზრისთვისაც ექნება მნიშვნელობა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი საწოლის ინვენტარი და კრედიტები უნდა გადაეცეს ერობათა და ქალაქებს სამხედრო უწყებილან თათბირმა მიიღო რა მხედველობაში, რომ განსრახული რიცხვი საწოლებისა არა-სოდეს არ ყოფნიდა სამხედრო უწყებას, რომ ქალაქ თბილისში, მიუხდავათ იმისა, რომ ითვლებოდა 250 საწოლი, არასოდეს 400-ზე ნაკლები არ ყოფილა, რომ შეკრებილ ცნობებით ჯარში ავადმყოფთა რიცხვი შეაღგენდა 10 პროც., რომ გადაცემის შემდეგ თვითმართველობათა საავათმყოფონი ვალდებული იქნებიან მიიღონ თავის თავზე გვარდიელთა აქიმობაც, რომ ყოველივე ამისთვის მოელ რესპუბლიკაში საჭირო იქნება 2000 საწოლი,— თვითმართველობისათვის გადასაცემი ინვენტარის და კრედიტების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს სულ საქართველოში 2,000 საწოლით.

— მარტის 30-ე ერობათა კავშირის კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა, ერობათა წარმომადგენლების თათბირი ეს თათბირი მოწვეული იყო იმ

კითხვის გამოსარკვევათ, თუ რა მიწები უნდა გადაეცეს ერობებს ჩამორ-თმეულ მიწებიდან კულტურულ წარმოებისათვის. ამავე თათბირზე და-ი-სვა საკითხი ერობათა ფინანსიურ და სურსათის მდგრამარეობის შესახებ, თათბირს მოხსენდა აგრეთვე კომიტეტისა და სხვადასხვა უწყებათ წარმომადგენლების დადგენილება საშედრო საავალმყოფოების გაღმოცე-მისა და განაწილების შესახებ.

დაწვრილებითი ცნობის ამ თათბირის შესახებ შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

მუნიციპალური დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა პირველი ურილობა.

— მარტის შუა რიცხვებში შესდგა მუნიციპალური დაწესე-ბულებების მუშა-მოსამსახურეთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 70-მდე დელეგატი 50 ქალაქებიდან და 20 ერობებიდან. ყრილობის დადგენილებებში მონაწილეობა მიიღო 15 ქალაქმა და 10 ერობამ. მთავარი საკითხი, რომელმაც ყრილობის დიდი ყურადღება მიიქცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იყო საკითხი შრომის ხელ-შეკრულების პროექტის შესახებ, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. ამ სა-კითხს ყრილობამ ორი სხდომა მოანდომა და გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალითაც მიღებულია მოთხოვნა, რათა კანონი შრომის ხელ-შეკრულებისა ვრცელდებოდეს კველი მუშებზე და მოსამსახურებზე, არა მარტო კერძო დაწესებულებებში, არამედ სახელმწიფო და მუნიცი-პალურ დაწესებულებებში და წარმოებებშიც — გარდა აღმინისტრატიულ თანამდებობისა. ყრილობამ აგრეთვე იქნაია მსჯელობა სატარიფო პა-ლატის შესახებ და აღიარა იგი საჭირო დაწესებულებათ; მან დაარსა ცენტრალური სექცია, რომელიც იმოქმედებს პროფესიონალურ კავში-რების ცენტრალურ საბჭოსთან.

ყრილობა გაგრძელდა 5 დღეს და ნაყოფიერითაც ჩაიარა.

#### ზუგდიდის სამაზრო ერობაში.

— ზუგდიდის სამაზრო ერობის გამეოგბამ მარტის 1-ს გახსნა მასწავლებლებისათვის 6 თვითი კურსები. მსენელთათვის შოწყობილია პანსიონი, მათი რიცხვი 80-დეა, გამგეობაში კურსებისათვის გადასტო 200.000 მანერი.

— სამაზრო ერობის ხმოსანთა თებერვლის ყრილობამ აირჩია ახა-ლი გამგეობა. თავმჯდომარედ ლეო შენგელაია, მის ამხანაგად ვ. ვეკუა-გამგეობის წევრებად აღ. ჩიქავა, მ. ანჯაფარიძე და ე. ლუკავა.

— ამავე ყრილობამ ახალ გამგეობას დაუმტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 60 მილიონს აღემატება, უმთავრესი გასავალი და შემოსავალიც ეკუთვნის ხეტყის მრეწველობის საქმეს, რომელსაც ზუგდიდის ერობა ერთი წელიწადია რაც აწარმოებს.

— ამ თვეში უნდა დასრულდეს მდ. ინგურზე დამბის გაკეთება. ამ დამბას მუშაობდა რამდენიმე სოფელი ერობის ტეხნიკოსების ხელმძღვანელობით.

— ხეთიდან ზუგდიდამდე რკინის გზის გაყვანა ორს თვეში დასრულდება. ერობის გამგეობას ჰყავს ვანსაკუთრებული რწმუნებულები, რომლებიც აწყობენ ხალხის მასიურს გამოსელის სამუშაოზე. დღეში მუშაობს 300-დე კაცი.

— მიმდინარე წლის ხმოსანთა თებერვლის ყრილობამ დაადგინა: 11 ივნისის კანონის ძალით ჩამოერთვას ყოფილს თავადს ნ. მინგრელსკის ორი სახლი ეზოიანად. ერთ სახლში უკვე მოთავსებულია გამგეობის კანცელარია და ყველა განყოფილება. ხოლო მეორე სახლში განზრახულია მოწყობის მუხეუმი სამეურნეო, საპედაგოგიო და აგრეთვე საისტორიოც. აგრეთვე სამეურნეო სასწავლებელი. ეს დადგენილება გამგეობამ უკვე წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებულად. ამავე ყრილობამ დაადგინა ხსენებული კანონის ძალით შეიძინოს პრინცესა მიურატის სახლი, რომელშიაც მოთავსებულია სამაზრო ცენტრალური საავადმყოფო ქირურგიული განყოფილებით.

— ყრილობამ გადასწყვიტა აგრეთვე შემოღებულ იქნას მაზრაში რკინის გზებზე კანონიერი საფუთო გადასახადი.

— ხმოსანთა ყრილობამ ექიმებს დაუნიშნა ჯამაგირი სოფლად 9,000 მანეთი თვეში ბინით, გათბობით და განათებით და აკრძალა კერძო პრაკტიკა. ქალაქიდ საავადმყოფოს ქირურგს 10.000 მანეთი ხოლო ტეროპევტს 8,000 მანეთი.

— თემების მოსაწყობად მოწვეულია განსაკუთრებული ინსტრუქტორი. მაზრაში სულ 43 თემია. ამ უამად თემთა თავმჯდომარეების ყრილობები იმართება რაიონად ყველა თემის მოქმედების გასაერთიანებლად.

#### ოშურეთის სამაზრო ერობაში.

— ერობა უკვე შეუდგა რიონის მარცხენა მხარის გამაგრებას; მუშაობას ხელმძღვანელობს სპეციალი კომისია. კომისიის დადგენილების თანახმად ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ თემებმა, რომელიც ამ აღვილზე მდებარეობენ

და თვითეულმა მოქალაქემ უნდა იმუშაოს უსასყიდლოდ არა ნაკლებ შეიძი დღისა. ვინც ამ მუშაობიდგან განთავისუფლდება, ვალდებულია ათასი მანეთი გამოიღოს სამუშაოს შესასრულებლად. ამავე სამუშაოს შესასრულებლად ის თემებიც არიან მოწვეულნი, რომელნიც თუმცა შორს არიან ამ ადგილიდგან, მაგრამ რიონის პირად სახნავ-სათესი მიწები აქვთ. სამუშაოს ადგილზე გაშენებულია ბინები შუშების-თვის, არის საფერშლო პუნქტი და აფთიაქი. მუშაობას ხელმძღვანელობს ხუთი, კაცი, სამუშაო მასალა უკვე შეძენილია. აღსანიშნავია, რომ თემები სიამოვნებით ეგებებიან ამ საქმეს და ყოველ გვარ დახმარებას უწევენ.

— ერობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მას მიეცეს ნება ისარგებლოს მაზრის ტყით; ერობათა კვშირი ამ შუდგომლობას მხარს უჭერს.

— სამაზრო ერობა სცემს ყოველ-კირეულ გაზეთ „გურიის ერობის მოამბეს“ გაზეთი ძალიან გავრცელებულია მაზრაში, და ყოველ დღე მატულობს მკითხველთა რიცხვი. ყველა თემი დიდი ყურადღებით ექცევა ამ გაზეთს. გაზეთი აშუქებს ყოველ-დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვებს და მიზანსაც აღწევს.

— ოზურგეთში არსებული 100 საწოლიანი სამხედრო ლაზარეთი სრულიად, გარდა კრელიტებისა, გადაეცა სამაზრო ერობას, რომელმაც უკვე მიიღო ის აღწერით. ეს ლაზარეთი შესდგება ორი თერაპევტიული და ხირურგიული—განკოფილებისაგან, ის მეტად მდიდარია თავისი ქონებით და ხირურგიული მოწყობილობა—ინსტრუმენტებით. ერობამ თავის თავზე მიიღო ვალდებულება საჭიროების დროს მოათავსოს ამ ლაზარეთში ჯარისკაცები საერთო წესით.

— ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც გასწია მან სახალხო სკოლებზე 1919 წ. განმავლობაში. ეს ხარჯები რამდენიმე ასი ათას მანეთამდე აღწევს.

— ერობის გამგეობა ღებულობის საჭირო ზომებს გზების შესაკეთებელად, მაგრამ მის ძალ-ღონეს აღემატება გზების სასურველად შეკეთება, რაღაც ამისთვის მიღიონებია საჭირო.

ჩოხატაურ ნატანების ნაწილში ნატანებ-ოზურგეთს გზის მუშაობა მის შესაკეთებლად უკვე სწარმოებს.

### ქუთაისის სამაზრო ერობაში.

— სამაზრო ერობის მიერ შემუშავებული წესები ხაექიმო პუნქტ-ების სარგებლობის შესახებ. მთელი ქუთაისის მაზრა დაყოფილია 20 საექი-მო უბნათ, უბანში რამოდენიმე სოფელი შედის, უბანს ჰყავს თვისი ექიმი, ფერშალი ან ბებია ქალი, რომელიც ექვემდებარება სამაზრო ერობის საექიმო სასანიტარო განყოფილებას.

ამბულატორიაში მიმსვლელ ავადმყოფს ექიმი იღებს დილის 8-12 საათამდე და შემდეგ კი 2 საათიდან მიჰყვება ბინაზე ავადმყოფის პატ-რონს პუნქტზე ჩაწერის რიგის მიხედვით.

საჭირო და სერიოზულ შემთხვევაში ექიმს უფლება აქვს შესცვა-ლოს ეს წესი და გაჰყვეს უფრო მძიმე ავადმყოფის პატრონს.

ექიმს შეუძლია საღამოს 4 საათიდან ავადმყოფს ბინაზე არ წაყვეს თუ ის მანამდი არ არის ჩაწერილი.

ეს წესი არ ვრცელდება მშობიარებზედ, მოწამლულზედ, უეცარ სისხლის დენასა და უბედურ შემთხვევებზე. ამ დროს აქიმი ვალდებუ-ლია გაჰყვეს ავადმყოფს.

ცხრი ექიმს ავადმყოფის პატრონმა უნდა მოუყვანოს.

ექიმი ვალდებული არ არის ავადმყოფთან ფეხით იაროს.

ავადმყოფის გასინჯვა და საექიმო რჩევა—დარიგებაში ექიმი არა-ფერს იღებს. ერობის გამგეობის დადგენილებით საექიმო დახმარება მაზრაში უსასყიდლოა. წამალი კი ფასიანი.

ფერშალი და ბებია ქალი უბანში ექიმის განკარგულებაში არიან და უიმისოთ ფერშალს საექიმო პრაქტიკის წარმოება არ შეუძლია.

ავადმყოფთან გაგზავნილი ფერშალი და ბებია ქალი მხოლოდ ექიმის განკარგულება—დარიგებას ასრულებს. დარიაჯი ექიმის სრულ განკარგულებაშია და ვალდებულია პუნქტის შესახებ ყოველი მისი განკარგულება დაუყონებლივ ასრულოს.

თემის გამგეობა, მოხელენი და ყოველი მოქალაქე ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ ექიმს ყოველი საეჭვო ავადმყოფის გაჩენის შესახებ.

თემის გამგეობა და მოხელენი ვალდებული არიან დახმარება გა-უწიონ ექიმს უბანში არსებულ ავადმყოფისთან ბრძოლაში.

თემის ფარგლებში მყოფი, ყველა სამრევლოს მღვდლები ვალდე-ბული არიან მიაწოდონ ექიმს ყოველი გვარი ცნობა / სამრევლოში ღიაბაღებულთა და გარდაცვალებულთა შესახებ, რისთვისაც მათ ეგზა-ვნებათ სათანადოთ დამზადებული ბლანკები.

— ქუთაისის სამაზრო ერობამ დაადგინა: გაღებულ იქნეს ერობისაგან ერთდროული დახმარების სახით ასი ათასი მანეთი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ რომელიც გაეგზავნოს კუთვნილებისამებრ. დაევალოს გამგეობის წევრს ალ. პაპავას შეადგინოს ერობის მოსამსახურებისაგან ჯგუფი 10 კაცისაგან რომელმაც მისი ხელმძღვანელობით უნდა ჩამოიარონ თემებში და თემების გამგეობის დახმარებით აუხსნან და დაუსურათხატონ ხალხს უმწეო მდგომარეობა მიწის ძვრით განადგურებული მცხოვრებლებისა. მოუწოდონ ხალხს შემწეობისათვის ფულათ, სურსათით, ნივთიერათ და ბინას მიცემით; გამოარკვიონ თუ, რომელ თემს რამდენი სულის მიღება შეუძლია საბინაოთ და მოვლა შენახვით. მიიღონ შემოწირულობა სათანადო კვიტანციებით. ცნობა, თუ რომელი თემი რამდენ სულს მიიღებს და შეგროვილი შემოწირულება დაუყონებლივ წარმოდგენილ იქნეს გამგეობაში. ამ ჯგუფის დღიურებს და ყოველივე მოხდენილ ხარჯებს იხდის გამგეობა.

— ერობამ დაადგინა გაიხნას კინაველეთის თემში სამედიცინო პუნქტი. გადაიხადოს თემშა, თანახმად 0.05ისი დადგენილებისა, მის მოსაწყობად ერთდროულად რაცდა ათი ათასი მანეთი და დაევალოს მას აღმოუჩინოს პუნქტს და ექიმს შესაფერი ბინა.

#### თელავის სამაზრო ერობაში.

— გასული წლის თელავის მაზრის ერობის ხარჯთ-ალრიცხვა უდრიდა  $10\frac{1}{2}$  მილიონ მანეთს, რომლიდან  $3\frac{1}{2}$  მილ. მიიღო მთავრობაშ სესხის სახით სკოლებისა და აღმინისტრაციის შესანახათ, აგრეთვე სუბსიდია მიიღო ერობამ მთავრობისაგან 110 ათასი მანეთის სახით.

გასული წლის ადგილობრივი შამოსავალი მეტად მცირე იყო, ერობამ ვერ დაფარა ხარჯები და დღეს ერობას დიდი ვალი აქვს.

ამ წლისათვის ერობას მიზნად აქვს შემოიღოს სხვა და სხვა გადასახადის დაწესება, აღძრულია შუამდგომლობა აგრეთვე საფუთო გადასახადის დაწესება ნებართვისათვის.

ნავარაუდევია 2 მილიონის მიღება სანიტარულ გადასახადისაგან და 1,600,000 მანეთის — საადგილ-მამულო გადასახადისაგან. ერობა შუამდგომლობს აგრეთვე  $40\%$  შემოსავლის დატოვებას სპირტეულობის აქციზისაგან.

1920 წლისათვის ერობამ უკვე მიიღო 3,300,000 მან. მთავრობისაგან.

ერობა ამზადებს შეშას და წიფლის ფიცრებს ბოჭკებისათვის. ერობას აქვს სტამბა ქალაქ თელავში, რომელიც ასრულებს ერობის საქმეების გარდა კერძო საქმეებსაც.

ერობა აწარმოებს ფართო სასურსათო მუშაობას, ის ამზადებს მომარაგების სამინისტროსა, ჯარისთვის და სახალხო გვარდიისათვის სანოვაგეს.

მაზრაში ტელეფონის გაყვანა თითქმის დასრულებულია, ამ დღეებში თელავი შეერთებული იქნება ტფილისთან. სწარმოებს გზების შეკეთება, მაგრამ მრავალ საჭირო მასალების უქონლობის გამო ფერხდება მუშაობა. ერობას უხდება მუშაობა აგრეთვე მდ. კისისხევის ნაპირების შესაკეთებლად, წყლების სამართველომ უკვე გაგზავნა თავის სპეციალისტი ამ საქმის შესახებ. ერობას აზრათ აქვს აგრეთვე გააკეთოს ხილი ალაზანზე და შეუერთოს მათი მდგრადი ფშავის რაიონი ცენტრს. განზრახულია აგრეთვე ელექტრონის სადგურის აგება, რომელიც მოელმაზრას მისცემს ენერგიას.

### სიღნალის საშაზრო ერობაში.

— სიღნალის ერობის სტატისტიკური განყოფილების ცნობით გასულ წელს მაზრაში 7535780 ფუთი პურის ხორბალი მოსულა, ამათგან 5862492 ფუთი დახარჯულა ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებათ და სათესლეთ, ხოლო 14967 ფუთი კი ერობამ გადასცა მთავრობას, დანარჩენი გატანილ იქნა მაზრიდან სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებისა და კერძო პირთა მიერ.

ამ წლისათვის მოსალოდნელია გაცილებით მეტი მოსავალი, რასაც ხელს უწყობს შესაფერი დარი და დათესილია აგრეთვე დიდი მიწვბი, რომელებიც გასულ წელში არ დათესილან.

სურსათ-სანოვაგის დაგროვებისა და განაწილების საქმეში ერობამ დიდი უნარი გამოიჩინა. ამისათვის შექმნილ იყო საგანგებო ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდენ წარმომადგენლები თვითმართველობის და საერობო წვრილი ერთეულების.

ნაკლებობა ნივთიერი საღსრისა მეტად უშლიდა ხელს ერობას, რომ ერთდროულად შეეძინა სურსათ-სანოვაგე; ამ გარემოებით სარგებლობდენ კერძო პირები და სპეციალისტები და არ იშურებდენ ფასს, რითაც მატულობდა ფასი ყველაფერზე.

ამ წლისათვის ერობას განზრახული აქვს აწარმოოს სასურსათო დიდი ოპერაციები. შეძენილ იქნება ხორბალი, მატყლი, თუთუნი, დამზადებს თივას, შეშას, ნახშირს, ყველს და სხვ.

ხსენებული სურსათ-სანოვაგე განზრახულია დამზადდეს იმდენი, რამდენიც ესაჭიროება ხალხს.

ერობა შეიძენს აგრეთვე მცხოვრებლებისათვის გარეშე პაზარზე მანუფაქტურას, ბრინჯს, ნავთს, საპონს და სხვ.

სასურსათო სამშის გასაუმჯობესებლად ერობას განზრახული აქვს საჭირო ცვლილება შეიტანოს სასურსთო განყოფილების მუშაობაში, გააფართოოს უკანასკნელი, დაიხმაროს მაზრაში არსებული ყველა კო-ოპერატივები, წვრილი ერთეულები, მოიწვიოს აგენტები, რომლებიც შეისყიდიან ყოველგვარ სასურსთო საგნებს.

ასეთი ოპერაციებისათვის ერობას დასჭირდება დიდიალი თანხა, ზოლო მის განკარგულებაში კი დღეს ვალების გარდა არარა არის. ამის გამო ერობა შუამდგომლობს შინაგან სამინისტროს წინაშე უბროცენტო სესხის სახით ერთისა ან ორი წლის ვადით ასესხოს 15 მილიონი მანეთი.

თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გეგმები განახორციელა ერობამ, მაშინ მას შეუძლია მთავრობას მისცეს არა ნაკლებ 1500000 ფუთი ხორბალისა.

### თიანეთის სამაზრო ერობაში.

-- ამა წლის სამ მარტს შედგა მესამე ხმოსანთა ყრილობა, რომელშიც დაამტკიცა 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა 28,570,579 მან.—ვინაიდგან მაზრაში ჯერ არ არსებობს თემები, ყრილობამ დაადგინა მაზრაში გამოსჭრას ხუთი თემი: ახმეტის, ერშოის, თიანეთის, ფშავეთის და ხევსურეთის. ამ დადგენილების განხორციელება ერობამ მიანდო გამგეობას.

— განზრახულია ამ წლის განმავლობაში მოეწუოს სახერხი და საფეიქრო ქრხანა.

— ერობამ ექვსი თვის განმავლობაში იღადგინა მაზრაში 13 სასწავლებელი, მოიწვია 28 მასწავლებელი. სკოლებში მოათავსა 700-მდე მოსწავლე და გახსნა ერთი ახალი სასწავლებელი ფშავეთში. გამგეობა აწყობს საღამოს კურსებს და სამკითხველოებს; აგრეთვე საზაფხულო პედაგოგიურ კურსებს მასწავლებელთათვის. განზრახულია სახალხო სკოლს შენობის აგება დ. თიანეთში.

### ახალციხის სამაზრო ერობაში.

— მაზრის ერობის სამედიკო-სანიტარულ განყოფილების მუშაობა ფაქტიკურად დაიწყო იანვრიდან. მაზრას თავის განკარგულებაში

ორი საექიმო დაწესებულება (საექიმო პუნქტი) ქონია. აწყურისა და აღიგნისა. თვით ქალ. ახალციხეში ამ უამაღ ქალაქის თვითმართველობის საავადმყოფო არსებობს და ამავე დროს ემსახურება ადგილობრივ სამხედრო ნაწილებს. ეს პუნქტები წარსულში როგორც სტანციონარ, ისე საამბულატორო ავადმყოფებს იღებდნენ. რიცხვი სტაციონარ ავადმყოფებისა არ აღემატებოდა 10, ამბულატორულ დახმარებას კი დღეში 25—30 კაცს აღმოაჩინდნენ ხოლმე. ომიანობისა და დარბევის შემდეგ ეს პუნქტები თითქმის განადგურებულ იქმნენ და ინვენტარისა, და მედიკამენტების დაკარგვის გამო, მარტო საამბულატორო პუნქტებათ გახდნენ. ამიტომაც მაზრის ერობის სამედიკო-სანიტარულ განყოფილების პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მაზრაში საექიმო საქმის მოწყობა. საექიმო პუნქტების სათანადოდ დასაყენებლად, მაზრა უნდა გაიყოს შემდეგ ექვს სამედიცინო რაიონებად: აღიგნისა, აწყურისა, ჯახსუ, ლეპისისა, ასპინძისა და ახალციხისა, იმ ვარაუდით, რომ თითო პუნქტი სამკურნალო დახმარების შერივ 15,000 სულზე მეტს არ აკადემიური დღეს; თუ მხედველობაში მივიღებთ ახალციხის მაზრის ტერიტორიის სივრცეს (2377 კვ. კ.) მცხოვრებთა რაოდენობას (82,000 სულს) და სოფლების რაოდენობის (296), თითო სოფელზე სამუშაოთ მოდის სამასი სული, და მაშასადამე, მაზრაც ექვს სამკურნალო პუნქტად უნდა გაიყოს. თითო სამკურნალო პუნქტს მოუწევს ამ ანგარიშით 13500 მცხოვრები დაკმაყოფილებს და სამსახურს გაუწევს 400 კვ. ვერ. მიღამოს.

მაზრაში ამ უამაღ არსებობს ორი პუნქტი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად აღდგენა ესაჭიროებათ. ამის გარდა საჭიროა კიდევ ოთხი პუნქტის ახლად ჰოჭყობა. ამ პუნქტებისათვის საჭიროა შესაფერი შენობის აგება 15 მწოდიარე ავადმყოფისათვის და ექიმის და მის თანამშრომელთა ბინათ. ეს საექიმო დახმარების გეგმა სამაზრო ერობას მიერ მოწონებულია და ამისათვის პირველი ნაბიჯებიც არის უკვე გადადგმული. საექიმო პუნქტების შენობის გეგმის შემუშავება მინდობალი აქვს ერობას სანიტარულ-სატეხნიკო განყოფილებას.

## გორის სამაზრო კონბაში.

— მიწის ძვრის შემდეგ, გორის სამაზრო ერობა დაუყონებლივ შეუდგა ფიცხის შენობის აგებას, ვინაიდან მისი სად-

გომი მთლად განადგურდა. გამგეობას მუშაობა არ შეუჩერებია. ექვს მარტს მოწვეულ იქნა სამაზრო ყრილობა, ყრილობამ დაამტკიცა 1919/20 წ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა, შემდეგი სახით: (1919 წ. 1 ივნისიდან, 1920 წ. 1 ივნისამდე); 1) „ნედოიმცები“ რომლის აკრეფას ერობა იმედოვნებს ხარჯთ-აღრიცხვის წელში 500,000 გ. 2) საერობო გადასახელები სასამართლოში 257,000 გ. 3) სატრაქტირო გადასახადი 212,000 გ. 4) მთავრობის კრედიტები და სუბსიდიები 15,432,000 გ. 5) დახმარება მთავრობის ერთდროულ მიწის გადასახადიდან 3,969,158 გ. 6) დახმარება 15% გადასახადიდან 110,000 გ. 7) საერობო ფოსტის შემოსავალი 500,000 გ. 8) სასანიტარო გადასახადი 2,813,000 გ. 9) შემოსავალი უძრავი ქონებიდან 406,000 გ. 10) შემოსავალი სახერხი ქარხნიდან 2,620,000 გ. 11) სასურსათო ოპერაცია 10,587,000 გ. 12) შემოსავალი კულტურული მამულებიდან 900,000 გ. 13) საფუთო გადასახადი 1,500,000 გ. 14) საობლიგაციო სესხი 10 მილიონი.

გასავალი ნაწილდება შემდეგი სახით: 1) ადმინისტრაციის შენახვა 9,719,000 გ. 2) გამგეობისა და საკანცელარიო გასავალი 2,278,000 გ. 3) სატუსალოების შენახვა 100,000 გ. 4) გზებისა და წყლების საჭმეები 5,687,000 გ. 5) სახალხო განათლება 8,767,000 გ. 6) საზოგადო მზრუნველობა 100,000 გ. 7) სამედიკო-სასანიტარო განყოფილება 4,469,000 გ. 8) საბეითლო საქმე 346,500 გ. 9) აგრონომული განყოფილება 2,682,000 გ. 10) ვალის გასტუმშება 100,000 გ. 11) სხვადასხვა გასავალი 2,698,000 12) საერობო წარმოებისათვის გასავალი 7,913,000 გ. 13) გადარიცხვა საერობო თანხის შესაღვენად 4,000,000 გ. 14) 30% გადადება თემების სასარგებლოდ 1,688,000 გ.

— გორის სამაზრო ერობის გამგეობაშ შუადგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ნება დაერთოს მას 10 მილიონის საობლიგაციო სესხის გამოცემისა. ფინანსთა სამინისტრო ამის გამო შეეკითხა ერობათა კავშირის კომიტეტს: 1) სასურველია თუ არა პრინციპიალურად ცალ-ცალკე ერობების მიერ შინაგან სესხის გამოცემა, 2) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ამნაირ საშუალებით გამონახული წყაროები ხომ არ გამოაცლის ნიადაგს სესხის გამოცემის იდეას საზოგადოთ 3) იქნებ უფრო მიზან შეწონილი ყოფილიყო ამ გვარი სესხის გამოცემა ერობათა კავშირის სახელით. 4) იწვევს თუ არა ექვს გორის ერობის მიერ განზრახული სესხის ფაქტიური რეალიზაცია.

ერობათა კავშირის კომიტეტია დაადგინა: პრინციპიალურად მეტად სასურველია იქნეს ერთი უფლებებით აღჭურვილი ორგანო შინაგან სესხის გამოცემის საკითხში, მაგრამ ამ გვარი ორგანოს უქონლობისა გამო და ერობათა კრიზისის გამო საზოგადოთ, კერძოთ კი, თუ მივიღებთ მხედველობაში გორის მცხოვრებთა სულიერ განწყობილებას, თემთა და გამსესხებელ კასების გამოთქმულ სურვილს ამ საქმეში დიდი მონაწილეობის მიღებისას,— ერობათა კავშირის კომიტეტი მხარს უჭერს გორის სამაზრო ერობის შუადგომლობას.

— ერობის სამაზრო ერობას განზრობული აქვს ამ სახით აღებული სესხი გაანაწილოს შემდეგ ნაირად: 4 მილიონი მოხმარდება შვიდ მოსარწყავ არხების გაყვანის გამოკვლევას, ორი მილიონი გადაიღება წარმოებათა გაფართოებისთვის—უმთავრესათ ხერხის ქარხანას, ორი მილიონი პირველ-დაწყებითი სკოლების ინვენტარის შეძენას, ორი მილიონი სასურსათო საქმეს, მისი ოპერაციების გაფართოებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო კონტროლმა გამოიტანეს ამ საქმის შესახებ სასურველი დასკვნა.

**გორის სამაზრო ერობის მოქმედება გასულ წელს \*).**

გორის სამაზრო ერობის მოქმედება გასულ წელს მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა: არ იყო ტრადიცია საერობო მუშაობისა და ამიტომ არ შეგვეძლო წარსული წლების მაგალითებით და გამოცდილებით გვესარგებლა; არც გამოცდილი საერობო მოღვაწეები მოგვეპოვებოდნენ თანამშრომლებად. ჩვენი ქვეყნის სინამდვილე უცხოეთისას არ წააგვდა, რომ უკანასკნელის მაგალითით გვესარგებლა, სამწუხადოდ არც ლიტერატურა მოგვეპოვია. არ გვქონდა გარკვეული კანონიერი ნორმები— არც უფლებრივი და არც საბიუჯეტო, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ამიერ კავკასიის კომისარიატის ბევრი ნაკლით საესესა, ბუნდოვანსა და თითქმის გაუქმებულ დებულებას. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ჯერ კიდევ არ ჩამდგარიყო ნორმალურ კალაპოტში-რეგოლიურის ხანას განვიცდიდით. არც ერთ საზოგადოებრივს თუ სახელმწიფო დაწესებულებას არ დაუწყია თავისი მუშაობა ისეთი უმნიშვნელო თანხებით, როგორც ეს მოგვიხდა ჩვენ-ერობის პირველ მოღვაწეებს. სულ 40.000 მან. სუბსიდია მოგვცა მთავრობამ პირველ ხანებში. შემდეგ კიდევ 284,000 მან. სესხი და ერთდოროული მიწაზე გადასახადისაგან წინდა-წინ სესხის სახით ამ რამდენიმე თვის წინად 1.000.000 მან. ამავე დროს ჩვენ არ მოგვცეს ჩვეულებრივი

\*) გამგეობის თავმჯდომარის მ. ახალიძის მოხსენებიდან სამაზრო ყრილობაზე 6 მარტს.

საერობო შემოსავლის წყაროები. არავითარი მექვიდრეობა, გარდა ვალებისა და განადგურებული დაწესებულებებისა, ჩვენ არ მიგვიღია. არც ერთს დაწესებულებაში, რომელიც გორის სამაზრო ერობის გამგეობამ ჩაიბარა, გარდა მცირე გამონაკლისისა, არავითარი ქონება, ავეჯეულობა, მორთულობა არ აღმოჩნდა — თითქმის ყოველგან ყოველივე განადგურებული იყო. გამგეობის მუშაობას აძნელებდა და აფერხებდა, განსაკუთრებით ის გარემოება, რომ მაზრა სწავლა-განათლების მხრით მეტის მეტად ჩამორჩენილია და სწავლის შეძენის სურვილი ხალხში ნაკლებად იყო გავრცელებული.

გამგეობა შეუდგა მუშაობას 1918 წლის 4 ქრისტეშობისთვეს. პირველი ნაბიჯი გამგეობის მოქმედებისა ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრების მიერ. ეს იყო: „ისპანკა“ სთან და საქონლის ჭირთან ბრძოლა, სურსათ სანოვაგის და სხვა პირველ საჭიროების საგნების ჰკრიზისის გასანელებლად ზომების მიღება.

გამგეობა ასეც მოიქცა. პირველ დღეებშივე მოაწყო „ისპანკა“-სთან საბრძოლველად ექიმთა მურინავი რაზმები. დიდი შრომა, ენერგია და თანხები დახარჯა სურსათ-სანოვაგის კრიზისის გასანელებლად: იძულებული იყო თვით ეწარმოებინა ყოველ გვარი საქონლის და სურსათის შეძენა-განაწილება მაზრაში.

ცალ-ცალკე დარგებში გორის ერობამ შემდეგი შექმნა: გორის მაზრა სწავლა-განათლების მხრით მეტად ჩამორჩენილია. ხშირი არის სოფლები, სადაც წერა-კითხვის მცოდნეს ვერ შეხვდებით. სკოლების მისაღებად გამგეობამ დაარსა 4 კომისია. შეუდგა სკოლების ჩაბარებას 1919 წლის მარტში და დაამთავრა იმავე წლის 1 სექტემბრისთვის. ამ დროს გორის მაზრაში ქალალდზედ ითვლებოდა 106 სკოლა 162 მასწავლებლებით, მაგრამ ნამდვილად 19 სკოლა არ არსებობდა, ვინაიდგან მასწავლებლებს თავი გაენებებინათ და სხვაგან მოქანახათ ცხოვრების წყარო. დანარჩენ სკოლებში მასწავლებლები ითვლებოდნენ, მაგრამ სწავლა მარტამდე არ ეწარმოებინათ, ვინაიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მასწავლებლებს ხვედრი ჯამაგირი ვერ მიეღოთ და სწავლება შეეწყიტათ. 106 სკოლიან მხოლოდ 30 აქვს საკუთარი ბინა და ისიც, გარდა 3, ყოვლად უვარებისი. დანარჩენი 76 სკოლა მოთავსებული იყო კერძო, დაქირავებულ შენობებში, მაგრამ არც ერთი იმათვანი არ აქმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებას. უმეტეს შემთხვევაში ბნელი, ნოტიო და ვიწრო სასკოლო ოთახები ჰქონდა. იყო შემთხვევა, რომ სკოლა ბოსელში მოეთავსებინათ (დოესი). არ იყო

სკოლები ცოტაოდენ უზრუნველ-ყოფილი ვარგისი ავეჯეულობით. სახელმძღვანელოებზედ და შესაფერ სასკოლო სამკითხველოებზედ ლაპარაკიც მეტია.

გორის სამაზრო ერობის გამგეობა შეეცადა მასწავლებლები სკოლებისთვის დაებრუნებინა, გაბნეული შეგირდები შეეგროვებინა, გაპარტახებული სასკოლო შენობები და ქონება აღედგინა, მასწავლებლები ხველი ჯამაგირით დაექმაყოფილებინა, და სწავლაც 1 აპრილიდან განახლდა. 1919 წ. სამოსწავლო წლიდან სწავლა-განათლების საქმეს რიგიანად დასაყენებლად და მომზადებული მასწავლებლებით სკოლების უზრუნველ საყოფად გამგეობამ 1919 წლის 1 თებერვლიდან გახსნა სამასწავლებლო კურსები, ახალ-გაზრდა მასწავლებლების მოსამზადებლად, გორის საოსტატო სემინარიისთვის. ამნაირად ენკენისთვისთვის ერობას ჰყავდა 36 ახალ-გაზრდა მასწავლებელი ამ კურსებზედ მომზადებულო სენატები კურსები გამგეობას დაუჯდა 18.000 მან. ამას გარდა გამგეობამ ნივთიერი დახმარების აღმოჩენით გაგზავნა თბილისში საზაფხულო კურსებზედ 22 ახალ-გაზრდა.

გამგეობამ პირველ წელსავე გახსნა და მოაწყო 47 ახალი საზაფხულო სკოლა, უმაღლესი პირველ დაწყებითი (ახალქილაჭი) და მიიღო თავის ხარჯზედ ცხინვალის უმაღლესი პირ. დაწყ. სასწავლებელი. იდადგინა და განახლა 106 სკოლა, დაუმატა მასწავლებლები 25 სკოლაში. ამ რიგად 1919 წ. 1 ოქტომბრიდან მაზრაში 153 სკოლაში 240 მასწავლებლით და 10200 შეგირდებით დაიწყო სწავლა.

უფრო ენერგიული და საქმის მოყვარული მასწავლებლების დახმარებით გამგეობამ მოაწყო 25 სკოლასთან სალამოს კურსები მოზრდილთათვის. გორში გამგეობამ გახსნა ცენტრალური საწყობი სასწავლო ნივთებისა, საიდანაც შეღავათიან ფასებში აწვდის სკოლებს ყოველგვარ სამოსწავლო ნივთებს და სახელმძღვანელოებს.

ამ სასახელო საქმეში დიდი დახმარება გაუწევია გორისათვის ზოგი თემის გამგეობებსა და სამაზრო ერობის ხმოსნებსაც იდგილობრივ საჭირო ავეჯეულების დამზადებით. მასალის შეძენაში თუ ხელფასის შიცემაში გამგეობას დაეხარჯა ერთ მილიონ მანეთამდე.

სკოლებში დაწყებული მეცადინეობა დიდათ შეაფერხა 28 ახალ-გაზრდა მასწავლებლის მოულოდნელად ჯარში გაწვევამ შემოდგომაზედ. ეხლა ეს ნაკლიც გამოსწორებულია.

სწავლა აღზრდის საქმე სკოლებში რევიზიის გამორკვევით ასეთია: კარგათ არის დაყენებული სწავლის საქმე 16 სკოლაში, დამაქმაყოფილებელია 3 სკოლაში და სუსტად—26 სკოლაში.

აგრონომიული დახმახების დარგში პირველ ხანებში გამგეობა განაკრძობა აგრონომიული დახმარების ორგანიზაციიდან მემკვიდრობით მიღებულ საქმეს. ამიტომ სისტემატიურობა იმ ხანად მაინც ნაკლები იყო. ამავე დროს ერობას ჰქონდა უფრო საშური საქმე: მის განკარგულებაში გადმოვიდა მთელი რიგი საფონდო ბალ-ვენახისა, მაგრამ მიმღებ კომისიების დაუდევარ მუშაობის გამო, ერობას არ გადასცემია ყველა ამ მამულების აღწერა. ამის გამოკვლევა და მოწესრიგება მიენდო აგრონომიულ განყოფილებას და ბევრი დრო და ენერგია იყო საჭირო იმის გამოსარკვევად, თუ სად და რა ღერსების და მნიშვნელობის მამულები აქვს ერობას ფონდში მიღებული. ამისდა მიხედვით ერობამ უკვე გამოარკვია, თუ სად და რა მამული უნდა დარჩეს ერობას მუდმივ განკარგულებაში რაიმე კულტურული მიზნით გამოსაყენებლად ან სკოლებისთვის. ზოგიერთ მამულებში ჩაყენებული ირიან ერობის ინსტრუქტორები და ივინი ერობის ხარჯით მუშავდებიან.

დიდი დახმარება აღმოუჩინა ხალხს აგრონომიულმა განყოფილებამ თავისი გასაქირავებელი მანქანა იარაღებით. არც ერთი გუთანი არ მომცდარია. ყველა გამუდმებით მუშაობა და ვერ ასღიოდა მოთხოვნილების დაქმაყოფილებას. აგრეთვე სათიბი მანქანები. დიდ ხმარებაში იყვნენ ბლოის და ვენახის საწამლავი აპპარატები. ალაგ-ალაგ ვამუშავეთ სათესი მანქანებიც. სამეურნეო იარაღთა ცენტრალური საწყობიც არის მოწყობილი მრავალი მანქანა-იარაღები, ძველადვე მოტანილი, ჯერ კიდევ გაუხსნელი ყუთებში ელაგა დაშლილ ნაწილებად. გამგეობაში ააწყო ისინი და აამუშავა. ამნაირად წარსული წლის განმავლობაში აგრონომიული განყოფილება მუშაობდა, როგორც საზოგადოებრივ აგრონომის ინსტრუქტორი და როგორც საფონდო კულტურულ მამულების მომვლელ-გამომყენებელი.

მეაბრეშუმეთათვის ერობას გამოწერილი აქვს ჭიის თესლი სამას კოლოფამდის, ე. ი. იმდენი, რაც საჭიროა მთელი მაზრისათვის.

მესაქობლეობა ერთი მნიშვნელოვანი დარგია გორის მაზრაში, ამიტომ განზრახული არის მოწვევა ამისათვის სპეციალისტისა მესაქონლებერებობისა. პირველ ყოვლისა საჭიროა შესწავლა ადგილობრივ ჯიშებისა. განზრახულია შეძენა ბულისა შვეცის ან სიმმენტალისა და საღმესავროებელი პუნკტის მოწყობაც.

აგრარული რეფორმის გატარებას დიდი მუშაობა დასჭირდა. პირველი ნაწილი რეფორმისა — ჩამორთმევა კიდევ არ დამთავრებულიყო, როცა გამგეობა შეუდგა მუშაობას. გამგეობაში შემოიერთა ყოფილი სა-

მაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი და ხელმძღვანელობს აგრძელი რეფორმის გატარებას. უცლის საფონდო მამულებს ხელმძღვანელობს მეათედების და დალების აკრეფის საფონდო მამულებიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ. რეფორმის მეორე ნახევარიც: საფონდო მამულების განაშილება გამგეობას დაეყისრა. სანამ განაშილება მოხდებოდა, საჭირო იყო ჩამორთმევის დამთავრება. ამიტომ შემდგარი იყო თანახმად 16 სააგრარო რაიონებისა, 16 ჩამორთმევი დროებითი კომისია, რეფორმის გატარებას ბევრი ხელის შემშლელი მიზეზები გადაელობა: წინა წელში ჩამორთმევი კომისიების ნამუშევარი ბევრი დაკარგული იღმოჩნდა, ბევრში შეცდომები იყო რის გამოსწორებაც დიდ დროს საჭიროებდა, გარდა ამისა ერთხელ ჩამორთმეული მამულის ისევ მეპატრონესთვის დაბრუნება, თუნდაც უკანონოდ ჩამორთმეულისა, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ადგილობრივ მცხოვრებლებში. ზემოთ ნაჩენები შეცდომების შესწორება და ნორმების შეცვლა, ან ზედმეტის მიცემა, მუდამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების მიერ ხდებოდა, ხშირად გამგეობის შეუკითხავადაც:

ჩამორთმევი 3 სააგრარო რაიონში დასრულებულია და რამოცვნიმე რაიონში ამ მოკლე დროში დასრულდება ჩამორთმევის პროცესი. 1 იანვრამდე ამა 1920 წლის მიღებულია ფონდში 77,615 დესეტინა ყველა ხარისხის მამულები.

აღმინისტრაციის მოწყობა და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება გამგეობის თავსამტვრევ საქმეთ გადაიკცა. ჯამაგირები მცირედი ეძლეოდათ და ისიც ნახევარ წლობით ვერ აელოთ, რასაც დიდი არც-დარევა გამოეწვია ამ დარგში. გამგეობამ ჩაიბარა აღმინისტრაცია და შეეცადა, როგოც ხვედრი ჯამაგირების საკითხის მოგვარებას, ისე საერთოდ ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც. დიდი ყურადღება იყო მიქცეული შემაღებელობის გაუმჯობესებაზედ, მაგრამ სავსებით ყოველი ნაკლის გამოსწორება შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდგან სათანადო პერსონალის შოვნა შეუძლებელი გახდა, როგორც მიღიციაში, აგრეთვე ხელმძღვანელებათ. გამგეობამ ვოახდინა მიღიციის და აღმინისტრაციის შედეგი რეორგანიზაცია: კომისარიატები გაუქმდა, იქ, საღაც სათემო გამგეობები არის შემოღებული. თემი შეადგენს სამილიციო უბანს, რომელსაც პყავს მიღიციის უფროსი და სათანადო რიცხვი მიღიციონერებისა. სამართლის ერობის გამგეობასთან არსებობს სამაზრო მიღიციის რეზერვი, მაზრის მიღიციის უფროსით. აღმინისტრაციის განყოფილებას განაცეს გამგეობის წევრი. რეორგანიზაცია აღმი-

ნიასტრაციის აუცილებელი იყო, ვინაიდან დღიდან ერობის შემოღებისა, ამ უკანასკნელის ფუნქციებს შეადგენს ყველა იმ საქმეების გაძლილაც, რაც წინეთ მაზრის უფროსებს და შემდეგ კომისრებს ევალებოდათ. დარჩა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები, რაც დაეკისრა მიღლიციას. ამიტომ დატოვებული არის მიღლიცია, მიღლიციის უფროსით. თემის მიღლიციის უფროსს ნიშნავს მაზრის მიღლიციის უფროსი გამგეობის დასტურის შემდეგ. მიღლიციელებს აიყვანს თვით მიღლიციის უფროსი. მაზრის მიღლიციის უფროს ნიშნავს სამაზრო ერობის გამგეობა. საერთო ხელმძღვანელობას უწევს გამგეობა აღმინისტრატიული განყოფილების საშუალებით. ამ რიგად თემები არ უნდა ერეოდნენ მიღლიციის საქმეებში პირდა-პირ; ეწევიან მეთვაყურეობას და შემჩნეულ დეფეკტებს აცნობებენ გამგეობას სათანადო ზომების მისაღებად.

სასამართლოს დარგში: მაზრა გაყოფილია 11 სამოსამართლო უბნად. ყველგან მოეწყო მოსამართლეთა კამერები. მომრიგებელ მოსამართლეების უმეტესობაში ხალხის ნდობა დაიმსახურეს. მომრიგებელ მოსამართლეთა კამერებში, თანახმად ხმოსანთა ყრილობის გადაწყვეტილებისა, მომჩინენებს თვით მოსამართლეები უწერენ სიტყვიერ განცხადებებს და ხალხი ამ რიგათ განთავისუფლებულია „აბლაკატების“ ბრჭყალებიდან.

ტეხნიკური განყოფილების მოქმედება უმთავრესად მიმართული იყო გზების, არხების, სახერხი ქარხნების და სააღმშენებელო ნაწილის მოსაწესრიგებლად.

გზები მთელ მაზრაში უნუგეში მდგომარეობაში იყო, ვინაიდან უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში სრულიად უყურადღებოთ მიტოვებული იყო; სოფლის გზებზედაც მზოუნდელი არავინ იყო. უგზოობა კი დიდათ შემაფერხებელია ყოველი მხრივ: კულტურული მუშაობა გნებავთ, თუ კკონომიტური ოლორძინება, ყველა ამაზე—კარგს თუ ცუდს გზებს—და მიმოსვლის საშუალებას დიდი გავლენა, აქვს.

გამგეობამ, გაჰყო მაზრა რაიონებად (3 თემი თივთეულში) და თვითგულ რაიონს მიუჩინა ტეხნიკოსები, რომლებმაც შეისწავლეს თავ-თავიანთი უბნები, იღწერეს ყველა გზები, შეადგინეს მთელი მაზრის გზების რუქა. ამით გამგეობას საშუალება ეძლევა თანდა-თანობით მოაწესრიგოს გზების საქმეები. ერობას გადაეცა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა ბორჯომ-ბაკურიანი-ახალქალაქისა. გამგეობამ დიდი შრომა და ხარჯი გაიღო ცხინვალის გზის შესაკეთებლად.

გზების სავსებით შეკეთება აუარებელ ხარჯებს იწვევს. გამგეობას-კი საამისო თანხები არ მოეპოვება, ამიტომ იძულებული იყო შემოელო ბეგარით გზების შეკეთება; გამგეობა ეწევა ხარჯებს ხიდების და ბოგი-რების გასაკეთებლად მასალების შესაძენად, მეთვალყურეობის და ტე-ნიკურ პერსონალის მიერ გამოწვეულ ხარჯებს. სააღმშენებლო დარგში გამგეობის მუშაობა გამოიხატება სკოლების შენობების შეკეთებაში, ასალი სკოლების გეგმების შედგენაში და სხვა.

გორის მაზრა უმთავრესად ხვნა-თესვის კუთხე არის, მაგრამ ბევრი ხელის შემწლელის დაბრკოლებების გამო აუარებელი სიმდიდრე იღუ-პება და იქ ხშირად მოუსავლობა იჩენს ხოლმე თავსა. სათანადო ტე-ნიკური გაუმჯობესებით, სარწყავი არხების გაყვანით ცნობილი ტირი-ფონის ველი, დოლოფლის მინდორი. დოლლაური და სხვა მილიონ ფუთობით ხორბლეულობას მეტს შემოსავალს მოგვცემს და ამიტომ გამგეობა, წყალთა სამმართველოს დახმარებით, აწარმოებს მაზრის გიდ-რო-გრაფიულ აღწერას. არხების გასაყვანად მოწვეული გვყვს გიდ-რავლიკი და ტეხნიკი, რომლებიც ზევით აღნიშნულ მუშაობის გარდა გამოკვლევის გეგმის და წინასწარი ხარჯთ აღრიცხვების შემუშავებას აწარმოებენ ჯერ-ჯერობით გამგეობის დახმარებით გაყვანილი არის ერთი სარწყავი არხი დიდი ლიახვიდან. გასა-ყვანი არხების გეგმაში მოექცნე შემდეგი: 1) სალთვისის არხი. (დიდ-ლიახვისა და ფრონეს შუა:) სალთვისის მინდორი ეხლა სრულიად ურწ-ყვია, მისი მორწყვა კი შესაძლებელია დიდი-ლიახვიდგან გამოყვანილ არხით, რომლის სათავეც სოფ. კეხვის ზემოთ უნდა იყვეს, საიდანაც ეხლა კეხვის რუ გამოდის. არხი გაეკვრის მთის ფერდოს ჯავის გზის ზემოდან, ჩაუვლის ქურთას, ქვემო-აჩაბეთს თამარაშენს, შემოუვლის ციხის-ჯვარს, კუსრეთის ტბეთის ძირში, წუნარის ზემოთ და არკნეთთან შეუერთდება ფრონეს. შემდეგში შეიძლება ეს არხი გაგრძელდეს და გადავიდეს ფრონეზე თამარის ველის მოსარწყავად. სიგრძე ამ არხის იქნება 32 ვერსი და მორწყავს 4000 დესეტინას.

2) სკრა-ხველურეთის არხი. (აგარიდან სკრამდინ) სიგრძით ეს არ-ხი იქნება 27 ვერსი და მორწყავს 3800 დესეტინას. მტკვრის მარჯვე-ნა ნაპირზე.

3) დოლლაურის არხი. სათავე ამ არხისა იქნება ქვიშეთის ზემოთ.

სიგრძით ეს არხი იქნება სულ 105 ვერსი და მორწყავს დაახლოვე-ბით 17.000 დესეტინას, ფრონემდინ კი 80 ვერსი და მორწყავს 14.000 დესეტინას.

4) ტირიფონის არხი. სათავე იქნება ცხინვალის ზემოთ და ჭალის რაიონში შეუერთდება ლეხურას. სიგრძით ეს არხი იქნება 60 ვერსი და მორწყავს 16,000 დესეტინას.

5) დრესის არხი. (მტკვრის მარჯვენა ნაზირზე). სათავე ამ არხისა იქნება ხიდისთავის რაიონში. სიგრძით ეს არხი იქნება 20 ვერსი და მორწყავს დაახლოვებით 2.000 დესეტინას.

6) ფრისი-ერედვის არხი. ამ არხის სათავე იქნება ვანათის ქვემოთ (პატარა ლიახვზე) და მორწყავს იმ მიწებს, რომელთაც არ მოხვდება ტირიფონის არხი. სიგრძე ამ არხისა იქნება 8 ვერსი და მორწყავს 2.000 დესეტინას.

ტელეფონის ქსელის გასაბმელი მაზრაში ერობამ აიყვანა მთელი შტატი ტეხნიკუსებისა და მუშებისა მნიშვნელოვანი პუნქტები უკვე შეერთეულია გამგეობასთან, დანარჩენი სოფლების ტელეფონის ქსელით შეერთების საქმეც სისწრაფით სწარმოებს.

გამგეობამ აიღო იჯარით ორი სახერხი ქარხანა გორში და ატენში. გარდა იმისა, რომ ამ ქარხნებში შესაძლებელი იყო სამუშაო მიზვეცა რამილენიმე ათეული მუშებისათვის, გამგეობამ ნაწილი დამზადებული ხის მასალისა მოახმარა ხიდებს და სკოლების შეკეთებას, ნაწილიც სასკოლო სკამების გაკეთებას დი სხვა საერობო საჭიროებას მოახმარა გამგეობა დიდ მნიშვნელობას აძლევს საერობო შექმნა-განვითარებას. ამი ტომ პირველ ხანებში ასეთმა წარმოებამ მატერიალური მოგებაც რომ არ დასტოვოს კულტურული და მარალური მნიშვნელობა იმისი მაინც დიდი იქნება. თვით ქარხნებს ბევრი ნაკლიც იღმოაჩნდა. მათ შეკეთება-გამოსწორებას დიდი დრო და ხარჯები დასჭირდა. დღეს დღეობით შეკეთებულია და რიგზე მუშაობს გორის ქარხანა. ატენის ქარხანას მეტის მეტად დიდი ხარჯები მოუნდებოდა შესაკეთებლად. თან ის ხელში ვერ უზრუნველ-ჰყოფდა ამ ქარხნებს დიდის ხნით. ამიტომ ატენის ქარხშიც გადმოაქვს გამგეობას გორში. გორშივე არის მოწყობილი მექანიკური სახელოსნო და სადურგლო-სახელოსნოც.

სხვა დარგების შესახებ მოქმედებას შემდევ ნომერში მოგათავსებთ.

რედაქტორი: სარგამულით ფოლეგია.  
გამომცემელი: ერთა თა ქავშირის ჭრილები.

၂၈၁  
1920

